საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ფაქტებით და ჭეშმარიტებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

შაბათი-კვირა, 30 ნოემბერი - 1 დეკემბერი. 2019 წ. №237 (8903) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

გიორგი მამაცაშვილი:
ამათზე ახლა მართლა ალალია სააკაშვილი, ახალია და მერაბიშვილი!

5

ირაკლი ლაზარია: ლევან ბერძენიშვილო, უახლოეს წარსულში მიშას მხდალს და ლაჩარს არ ეძახდი?

ევროკავშირის ელჩი:
დროა, მხარეებმა ერთმანეთზე კი არა, ერთმანეთთან ილაპარაკონ

„ვფიქრობთ, რომ დროა, მხარეებმა ერთმანეთზე ნაკლებად ისაუბრონ და ერთმანეთთან საუბარი დაიწყონ“, — საქართველოში ევროკავშირის ელჩმა კარლ ჰარცელმა მედიასთან ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის დღეისთვის დაანონსებულ შეხვედრაზე კომენტარი გაკეთა. ჰარცელი ამბობს, რომ ბედნიერია, რადგან 30 ნოემბერს დიალოგი გაიმართება.

„ჩვენი აზრით, ეს აუცილებელია და მხარს ვუჭერთ ამ ფორმატს. ჩვენ დეტალებს ვაზუსტებთ, თუმცა, როგორც ცნობილია, ე.წ. გერმანული მოდელის განხილვა იქნება დღის წესრიგში, თუმცა ალბათ, ზოგადად პოლიტიკური სიტუაციის უფრო ფართოდ განხილვა მოხდება. მოლაპარაკებებში საერთაშორისო თანამეგობრობაც ჩაერთვება. ქუჩის პროტესტებთან დაკავშირებით, ჩვენ ჩვენი პოზიცია უკვე გავახმოვანეთ. ჩვენ სრულად ვუჭერთ მხარს დემონსტრანტების უფლებებს, გამოხატონ სიტყვის თავისუფლება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აზრის გამოხატულება უნდა იყოს მოქცეული კანონის ფარგლებში. ეს არის ჩვენი პრინციპული პოზიცია“.

ნინო ბურჯანაძე დიალოგის მომხრეა, მაგრამ...

მე დიალოგის მომხრე ვარ, მაგრამ დიალოგი არ **უნდა შედგეს მხოლოდ დიალოგისთვის, მნიშვნელოვანია, იყოს ხელისუფლების მზაობა, კონკრეტული საკითხები განვიხილოთ,** — ამის შესახებ „ერთიანი საქართველო — დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ განაცხადა ოპოზიციისა და ხელისუფლების წარმომადგენლების დღეისთვის დაგეგმილ შეხვედრასთან დაკავშირებით. ამასთან, მისი თქმით, თუ ხელისუფლების წარმომადგენლები განაგრძობენ საუბარს, რომ ოპოზიციას შეხვედრაზე დიპლომატების ხათრით იწვევენ და „გერმანული მოდელი“ ანტიკონსტიტუციურია, პროცესი ჩაიშლება.

— დარწმუნებული ვარ, ყველა დაუჭერს მხარს დიალოგს. ხელისუფლების წარმომადგენლები, კობახიძე და წულუკიანი თუ გააგრძელებენ იმ განცხადებების გაკეთებას, რომ იქ გვეპატიჟებიან ელჩების ხათრით, მაგრამ იმისთვის, დაგვარიგონ და აგვიხსნან, რომ ეს ანტიკონსტიტუციური მოდელია და დიალოგი დახურულია, თუ ამ განცხადებებს გააკეთებენ, ეს პროცესი ჩაიშლება, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

საქართველოს პარლამენტის წევრმა, ირაკლი კობახიძემ გუშინ განაცხადა, რომ ხელისუფლებამ ანგარიში გაუწია დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს და ხვალ, დღის პირველ ნახევარში შედგება შეხვედრა ხელისუფლების წარმომადგენლებსა და ოპოზიციას შორის, რომელსაც დიპლომატებიც დაესწრებიან.

ზაურ ნაჭყებია:
„მონების ამბოხებიდან“... სახალხო ამბოხებამდე!

4

რამდენი მილიარდით დაგვეხმარა აშშ?

$4 348 400 000 - აშშ-ის ფინანსური დახმარება საქართველოს 28 წლის განმავლობაში

9

გიორგი კეკელიძე:
საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში რუსული კულტურისა და ენის ცენტრი არ გაიხსნება!!!

გიორგი გახარია: 100 ახალ ბიზნესპროექტს მივიყვანთ ბოლომდე და ჩვენს მოქალაქეებს შევთავაზებთ დამატებით სამუშაო ადგილებს

თითოეული სამინისტრო, მთავრობა ყველაფერს გააკეთებს, რათა იყოს თქვენი ღირსეული და ეფექტიანი მედიატორი, რომ ეს პროექტები მივიყვანოთ საბოლოო, ლოგიკურ დასრულებამდე, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ ადგილობრივი და საერთაშორისო ბიზნესისთვის 100 საპრივატიზებო საინვესტიციო შეთავაზების შესახებ გამართულ პრეზენტაციაზე განაცხადა.

მისი თქმით, ეს არის მთავრობის ძირითადი მიზანი და მოტივი.

„მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ ყველას კარგად გვესმის, რომ საარჩევნო წელიწადია, ჩვენ ყველას კარგად გვესმის, რომ არის გარკვეული ტურბულენტობა. მიუხედავად ამისა, მთავრობაც და ბიზნესიც ბევრად უფრო კონცენტრირებულად, წყნარად, მშვიდად უფრო მეტი შემართებით, ეფექტიანობაზე მეტი კონცენტრირებით უნდა ვდგამდეთ ნაბიჯებს. კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ კოლეგებო და გპირდებით, რომ ყველა ის პროექტი, რომელსაც განიხილავთ თქვენ და, რომელზეც გამოხატავთ თქვენს ინტერესს, თითოეული სამინისტრო, მთავრობა სრულად ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ იყოს თქვენი ღირსეული და ეფექტიანი მედიატორი იმისთვის, რომ ეს პროექტები მივიყვანოთ საბოლოო, ლოგიკურ დასრულებამდე და იმისთვის, რომ ჩვენს მოქალაქეებს ახალი, დამატებითი სამუშაო ადგილები შევთავაზოთ“, — განაცხადა გიორგი გახარიამ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ სახელმწიფო ქონების პროაქტიული პრივატიზება დაიწყო. პროექტი 100 პარალელური აუქციონის ერთდროულად ჩატარებას და სახელმწიფო ქონების გამარტივებული პროცედურებით პრივატიზებას ითვალისწინებს.

* * *

„პირველ რიგში, მინდა, მადლობა გადავუხადო ეკონომიკის სამინისტროს, საკმაოდ ეფექტური და სწრაფი მუშაობისთვის, რათა მათ შეძლეს და შემოგვთავაზეს, ფაქტობრივად, 100 საინვესტიციო პროექტი. ყველაზე მნიშვნელოვანი გახლავთ ის, რომ დღევანდელი დღიდან ხელმისაწვდომი იქნება არანაკლებ 100 საინვესტიციო პროექტი, რომელსაც შემოგვთავაზებს სახელმწიფო, რათა ბიზნესმა უფრო ეფექტურად შეძლოს ოპერირება. არაერთხელ გვითქვამს, რომ ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი არის სამუშაო ადგილების რაოდენობა, განათლება, უსაფრთხოება და ყველაფერი ერთად უნდა გვაძლევდეს სწრაფ ეკონომიკურ ზრდას. სხვათა შორის, ჩვენ ოქტომბერში მიუხედავად ამ ყველაფრისა, ზოგიერთი კოლეგის „ხულიგნობისა“ ეკონომიკური ზრდა გვქონდა 5,7 %. 10 თვის მასშტაბით ჩვენ გვქონდა ზრდა 5,1 %, რა თქმა უნდა, ეს არ არის საკმარისი, ჩვენს ეკონომიკას სჭირდება მეტად უფრო სწრაფი ეკონომიკური ზრდა, სწორედ ამიტომ გადავდგით ჩვენ ეს ნაბიჯი და სწორედ ამიტომ ყველა ის აქტივი განსაკუთრებით სახელმწიფო საკუთრებაში, რომელიც არსებობს, რომელიც სრულად არაა ჩართული ეკონომიკურ ბრუნვაში, ჩვენ რაც შეიძლება სწრაფად უნდა „გავაცოცხლოთ“. იმისთვის, რომ მივცეთ ბიზნესს საშუალება, უფრო ძლიერად ოპერირებდეს და, რა თქმა უნდა, ჩვენი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი გახლავთ ძლიერი ბიზნესი, რომელიც ქმნის სამუშაო ადგილებს“...

პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ მთავრობა ყველაფერს გააკეთებს, რათა ბიზნესისთვის იყოს ღირსეული და ეფექტური მედიატორი, ეს პროექტები მივიყვანოთ საბოლოო, ლოგიკურ დასრულებამდე და იმისთვის, რომ მოქალაქეებს შესთავაზონ ახალი, დამატებითი სამუშაო ადგილები.

„ეს არის ჩვენი ძირითადი მოტივი, ეს არის ჩვენი ძირითადი მიზანი და, რა თქმა უნდა, მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ ყველას კარგად გვესმის, რომ საარჩევნო წელიწადია, ჩვენ ყველას კარგად გვესმის, რომ არის გარკვეული ტურბულენტობა. მიუხედავად ამისა, მთავრობაც და ბიზნესიც ბევრად უფრო კონცენტრირებულად, წყნარად, მშვიდად უფრო მეტი შემართებით, ეფექტიანობაზე მეტი კონცენტრირებით უნდა ვდგამდეთ ნაბიჯებს. კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ კოლეგებო და გპირდებით, რომ ყველა ის პროექტი, რომელსაც განიხილავთ თქვენ და რომელზეც გამოხატავთ თქვენს ინტერესს, თითოეული სამინისტრო, მთავრობა სრულად ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ იყოს თქვენი ღირსეული და ეფექტური მედიატორი იმისთვის, რომ ეს პროექტები მივიყვანოთ საბოლოო, ლოგიკურ დასრულებამდე და იმისთვის, რომ ჩვენს მოქალაქეებს შევთავაზოთ ახალი, დამატებითი სამუშაო ადგილები“, — განაცხადა გიორგი გახარიამ.

საჰაერო მიმოსვლის აღდგენა, ლუგარის ლაბორატორია და დაკავებული ექიმის განთავისუფლება

ე.წ. ლუგარის ლაბორატორიის კარი ყველა ქვეყნის, მათ შორის რუსი მეცნიერებისა და ექსპერტებისათვის ღიაა, — ამის შესახებ პრაღაში, ქართულ-რუსული არაფორმალური დიალოგის ფარგლებში, რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა ზურაბ აბაშიძემ რუსეთის ფედერალური სათათბიროს ფედერალური საბჭოს წევრ გრიგორი კარასინთან შეხვედრაზე განაცხადა.

შეხვედრაზე ზურაბ აბაშიძემ ხაზგასმით გაამახვილა ყურადღება ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ ქართველი ექიმის ვაჟა გაფრინდაშვილის უკანონო დაკავების ფაქტზე, რამაც საქართველოსა და საერთაშორისო მასშტაბით ფართო რეზონანსი გამოიწვია.

პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აუცილებელია პატიმრობიდან ვაჟა გაფრინდაშვილის სასწრაფოდ გათავისუფლება. რის საპასუხოდაც გრიგორი კარასინმა თქვა, რომ ვაჟა გაფრინდაშვილი, სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში დაუბრუნდება ოჯახს.

ამ კონტექსტში ზურაბ აბაშიძემ ისაუბრა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ადამიანის უფლებების დაცვისა და ჰუმანიტარული კუთხით არსებულ რთულ ვითარებაზე, რაზეც უფრო დეტალური საუბარი გაიმართება ახლო მომავალში ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მორიგ რაუნდზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხებიდან მხარეებმა ორ ქვეყანას შორის 2019 წლის იანვარ-ოქტომბრის პერიოდში სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების, სატრანსპორტო და ჰუმანიტარული კავშირების დინამიკა განიხილეს. ყურადღება გამახვილდა სავაჭრო და სატრანსპორტო სფეროებში ჩართული ქართული კომპანიების ინტერესების დაცვასა და პრობლემების მოგვარებაზე. სატრანსპორტო კავშირებზე საუბრისას, რუსული მხრიდან აღინიშნა, რომ მოსკოვში განიხილავენ საქართველოსა და რუსეთს შორის პირდაპირი ავიამიმოსვლის აღდგენას, თუმცა კონკრეტული ვადები არ დასახელებულა.

საუბარი შეეხო „საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის საბაჟო ადმინისტრირებისა და სასაქონლო ვაჭრობის მონიტორინგის მექანიზმებთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპების შესახებ“ 2011 წლის შეთანხმების იმპლემენტაციას. კერძოდ, აღინიშნა, რომ მხარეებმა ხელი უნდა შეუწყონ ექსპერტების დონეზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის საქმიანობას, რომლის მორიგი შეხვედრაც ახლო მომავალში გაიმართება.

რუსეთის მხარის დაინტერესების გათვალისწინებით, ზურაბ აბაშიძემ დაადასტურა, რომ ე.წ. ლუგარის ლაბორატორია თავის საქმიანობას ტრანსფარენტულად წარმართავს.

ვაჟა გაფრინდაშვილმა ოჯახს ცხინვალის იზოლატორიდან წერილი გაუგზავნა



ექიმმა ვაჟა გაფრინდაშვილმა ოჯახს ცხინვალის იზოლატორიდან წერილი გაუგზავნა. გაფრინდაშვილი გუშინ „წითელი ჯვრის“ წარმომადგენლებმა ოკუპირებული ცხინვალის ციხეში მოინახულეს.

„წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის“ კომუნიკაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მაია ქარდავას თქმით, ექიმის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ეს „წითელი ჯვრის“ მიერ გაფრინდაშვილთან შემდგარი მეორე ვიზიტი იყო.

„ოჯახის მიერ შევსებული „წითელი ჯვრის“ საბარათე ბლანკი გადაეცა მას. მან საპასუხო წერილი ამჯერადაც გამოუგზავნა ოჯახს, რომლის სკანირებული ვერსიაც გადავეცით ოჯახს.

სამწუხაროდ, მე სრულად არ ვარ უფლებამოსილი, რომ დეტალურად გესაუბროთ, თუმცა შემიძლია გითხრათ, რომ მისი თქმით, ის თავს გრძნობს ნორმალურად და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არის დამაკმაყოფილებელი“, — თქვა მაია ქარდავამ.

მხარდამჭერი აქცია იტალიაში

„თავისუფლება ვაჟა გაფრინდაშვილს“, — ამ ლოზუნგით იტალიის დედაქალაქში ქართველმა ემიგრანტებმა რუსეთის საელჩოს წინ აქცია გამართეს. რომში გამართულ აქციაზე საქართველოს ჰიმნი შეასრულეს. ამით ოკუპირებულ ტერიტორიაზე ეგრეთ წოდებული საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით დაკავებულ ვაჟა გაფრინდაშვილს მხარდაჭერა გამოუცხადეს და რუსული აგრესია დაგმეს. ვიდეომასალა სოციალური ქსელით გავრცელდა.

ნათია თურნავა: იმედია, წელს თუ არა, მომავალ წელს მაინც იმუშავებს საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმი...

საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმი, ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტი და ფინანსური მხარდაჭერის სქემა, რომელსაც ბიზნესს ვთავაზობთ, თუმცა არა ერთადერთი, – ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ განაცხადა.

მისი თქმით, სახელმწიფო ასევე ბიზნესს ეხმარება „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში საბანკო სესხების სუბსიდირების მხრივ და ეს პროდუქტი ყველაზე მოთხოვნადია.

„ასევე ვეხმარებით საინვესტიციო ვალდებულებით მიწის გადაცემის ნაწილში. გვაქვს მარკეტინგული და საექსპორტო მხარდაჭერაც. ანუ საკრედიტო-საგარანტიო ფონდი ერთ-ერთი მექანიზმია იმ მრავალს შორის, რომელსაც ვთავაზობთ ბიზნესს. საკრედიტო-საგარანტიო სქემისთვის ბიუჯეტში გვაქვს მობილიზებული თანხები და პირველი, რაც გავაკეთე მინისტრად დანიშვნის დროს, დავაჩქარე ამ მექანიზმისთვის საჭირო ყველა იურიდიული დოკუმენტის შექმნა“, – აღნიშნა მინისტრმა. მისი თქმით, 12 კომერციულ ბანკთან ჯერ კიდევ ივნისში მოეწერა ხელი ხელშეკრულებებს.

„პატრიოტთა ალიანსი“ ხელისუფლებას უფრო მაგრად შეუტევს

„პატრიოტთა ალიანსი“, პროპორციული არჩევნების ჩატარების მოთხოვნით, 30 ნოემბერს სპორტის სასახლეში აქციას გამართავს.

როგორც „2020NEWS“-ს პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გოჩა თევდორაძემ განუცხადა, მათი მოთხოვნა პროპორციული არჩევნების ჩატარების გარდა, დამნაშავეების დაკავებაა.

„ჩვენი მოთხოვნაა პროპორციული არჩევნების ჩატარება და დამნაშავეების დასჯა. აქციის დროს გავაჟღერებთ, რომ რეზოლუციის პროექტი იყოს მიღებული და დამნაშავეები იყვნენ დასჯილები. დამნაშავეებში ვგულისხმობ სააკაშვილ-ბოკერიას რეჟიმს.

ამას ახლა კი არ ვითხოვთ, უკვე დიდი ხანია. 400 ათასი ადამიანის ხელმოწერაა გაკეთებული, ვისაც ამ რეჟიმის წარმომადგენლების დაჭერა სურს“, – განაცხადა გოჩა თევდორაძემ. „პატრიოტთა ალიანსის“ ერთ-ერთი ლიდერის თქმით, აქციებით აუცილებლად მიაღწევენ იმ მოთხოვნას, რომელიც ირმა ინაშვილსა და მისი გუნდის წევრებს აქვთ.

„ჩვენი თვითმიზანი აქციის გამართვა არაა. ჩვენი მიზანია, რომ ქვეყანაში მიღწეული იქნას სამართლიანობის აღდგენა და ჩატარდეს სამართლიანი პროპორციული არჩევნები“.

მამუკა ხაზარაძე, ფიქრია ჩიხრაძე და დავით უსუფაშვილი ალიანსს ქმნიან

მოძრაობა „ლელო“, „შენების მოძრაობა“ და „ახალი მემარჯვენეები“ ალიანსს ქმნიან.

როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე ფიქრია ჩიხრაძემ აღნიშნა, მიიღეს გადაწყვეტილება მჭიდრო კოორდინაციის რეჟიმში დაიწყოს კონსულტაციები ქვეყანაში შექმნილი ჩიხური ვითარების დასაძლევად.

„ჩვენ გამოვხატავთ მოსახლეობის დიდი ნაწილის ინტერესს, რომელიც უკიდურესად კრიტიკულად არის განწყობილი არსებული აწყმოს მიმართ და წარსულის დაბრუნებაც აშინებს. ეს იქნება თანასწორუფლებიანი პარტნიორების მიერ პარიტეტულ საწყისებზე შექმნილი პლატფორმა, რომელიც დაამარცხებს ორპოლუსიან სისტემას, ისარგებლებს საზოგადოების ნდობით და ააშენებს ძლიერ განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყანას. საქართველო არის ჩვენი სამშობლო, რომელიც ძლიერ სახელმწიფოდ უნდა ვაქციოთ“, – განაცხადა ფიქრია ჩიხრაძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკის შენობასთან საპროტესტო აქციის გამო არანაირ დისკომფორტს არ ვგრძნობ, – ამის შესახებ ჟურნალისტებთან საუბარში იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა.

კითხვაზე, ხომ არ უქმნიან საპროტესტო აქციის მონაწილეები მას დისკომფორტს, წულუკიანმა აღნიშნა, რომ არამც თუ რამე დისკომფორტი არ არსებობს, არამედ ისიც და ღონისძიებაზე მყოფი ევროკავშირისა და UNICEF-ის წარმომადგენლები ასეთ ფონსა და რეკლამას ვერც კი ინატრებდნენ.

ის ხალხი, ვინც გარეთ გვისტვენს, ნიჩბით ყრიდა ბავშვებს ციხეში!

„ჩვენ დღეს ვზეიმობთ საქართველოში გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციის 30-ე წლისთავს და ის ხალხი კი, ვინც გარეთ სტვენს, ნიჩბით ყრიდა ბავშვებს ციხეში. ეს ფონი სიმბოლურია, მადლობა მათ ამისთვის, ვინაიდან საზოგადოებამ დღეს კიდევ ერთხელ დაინახა ამ ადამიანების სახე. ხელისუფლებაში მათი ყოფნის დროს არ არსებობდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი და ფეხქვეშ ითელებოდა გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენცია. დღეს ჩვენ დავაანონსეთ, რომ №11 არასრულწლოვანთა დაწესებულებაში, რომელიც 100 ადამიანზეა გათვლილი და გარეთ შეკრებილი ადამიანების ხელისუფლებაში ყოფნისას გადავსებული იყო, ახლა მხოლოდ 23 ბავშვი იმყოფება“, – განაცხადა წულუკიანმა.

200 კაცით მუშტებს ნუ აბრახუნებენ!

უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის ირაკლი კობახიძის განცხადებით, საპროტესტო აქციებთან დაკავშირებით უმრავლესობის წევრებს „ემოციების დარეგულირება უწევთ“.

„გვიწევს დეპუტატების შეკავება იმისთვის, რომ არ გამოხატონ ის ემოციები, რომლებიც აქვთ ამ გარე აქციასთან დაკავშირებით. ეს 100 დეპუტატი ეყოფა იმ 198 კაცს, რომლებიც არიან პარლამენტის გარშემო, თუ ემოციებზე არის საუბარი... შეაფასონ საკუთარი რესურსები და 200 კაცით მუშტებს ნუ აბრახუნებენ“, – თქვა კობახიძემ ოპონენტებზე.

ნუკრი ქანთარია: „ნაციონალური მოძრაობა“ ინფექციური ბაცილაა, ვინც მასთან დგება, ინფექცია გადადებული აქვს

ოპოზიციას უნდა, რომ „ქართული ოცნების“ დეპუტაციამ ის ჩავიდინოთ, რაც დეპუტატს არ შეეფერება, – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ნუკრი ქანთარიამ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

ნუკრი ქანთარიას თქმით, ოპოზიციის პროტესტი „მარგინალიზაციისკენ მიექანება“.

„ქუჩის ოპოზიციაც ნანახი მაქვს, მონაწილეც ვარ, გამწვავება როგორ უნდა მოხდეს, ესეც კარგად ვიცი. თუ ოპოზიციის პროტესტს დრამატიზმის ნიშნები ჰქონდა, ახლა სრული კომიზმია. აბსოლუტურად კომიკურ სიტუაციაში არიან, კომიკურ პერსონებად იქცნენ. თავად კარგად იციან, რომ სრული მარგინალიზაციისკენ მიექანებიან. არის ერთადერთი გზა, რომ ამ ყველაფერს თავი დაანებონ და საარჩევნო რეჟიმში გადავიდნენ. „ნაციონალური მოძრაობა“ ინფექციური ბაცილაა, ვინც მასთან დგება, ინფექცია გადადებული აქვს. ყველა ერთად წავა პოლიტიკურ წარსულში და მათ ადგილზე ნორმალური, ანგარიშგასაწევი ძალა აღმოცენდება.

შეუერთდება გიორგი კვირიკაშვილი „ოცნებიდან“ წამოსულ დეპუტატებს?

„ქართული ოცნებიდან“ წამოსული დეპუტატები ყოფილ პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან ერთად ახალი პარტიის შექმნას არ გამორიცხავენ. ამის შესახებ დამოუკიდებელმა დეპუტატმა კობა ნარჩემაშვილმა „2020NEWS“-თან საუბარში განაცხადა.

პარლამენტის დამოუკიდებელმა დეპუტატებმა მარიამ ჯაშმა, ლევან გოგიჩაიშვილმა, გედევან ფოფხაძემ, კობა ნარჩემაშვილმა, ზვიად კვაჭანტირაძემ და ლევან კობერიძემ ფრაქცია "დამოუკიდებელი დეპუტატების" შექმნა დაანონსეს და განაცხადეს, რომ ფრაქცია არც ერთი პოლიტიკური ძალის ინტერესებს არ მოემსახურება.

„ამომრჩევლისთვის ფრაქციულ დონეზე ახალი პოლიტიკური დღის წესრიგის შეთავაზება აუცილებელი იყო. ამჟამად ჩვენი ფრაქცია დარეგისტრირების პროცესშია. მომავალში ახალი პარტიის შექმნა გამორიცხული არ არის, თუმცა ამ ეტაპზე, კატეგორიულად არაფრის თქმა არ შეიძლება“, – განაცხადა კობა ნარჩემაშვილმა. აღსანიშნავია, რომ ფრაქციაში გაწევრებამდე, დეპუტატმა მარიამ ჯაშმა ყოფილ პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან პოლიტიკური თანამშრომლობა დაანონსა.

„იმ შემთხვევაში, თუ გიორგი კვირიკაშვილი პოლიტიკაში დაბრუნებას გადაწყვეტს, დიდი ალბათობით, მისი გუნდის წევრად მიხილავთ“, – განაცხადა მარიამ ჯაშმა.

„რამდენადაც ვიცი, ამ ეტაპზე გიორგი კვირიკაშვილი რაიმე ფორმით პოლიტიკაში მონაწილეობას არ აპირებს. შემიძლია გითხრათ, რომ ყველა იმ პოლიტიკოსთან და კონსტუქციულ ძალასთან, რომელიც პოლიტიკაში კეთილსინდისიერებით გამოირჩევა, ჩვენი ფრაქცია ითანამშრომლებს“, – განაცხადა კობა ნარჩემაშვილმა.

ეკატერინე ზარნაძე

ასეთი სისულელე მხოლოდ „გირჩმა“ შეიძლება მოიფიქროს!

„ბიბლიური თავისუფლება“ მღვდელმსახურებს მონანიების საშუალებას აძლევს, – ამის შესახებ „გირჩის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული.



„გირჩის“ მიერ დაფუძნებული რელიგიური ორგანიზაცია „ბიბლიური თავისუფლება“ საკუთარ მღვდელმსახურებს მონანიებისა და ეკლესიის მსახურებიდან გასვლის შესაძლებლობას აძლევს. მღვდელმსახურის სტატუსის გასაუქმებლად, „ბიბლიური თავისუფლების“ წევრები „გირჩის“ ოფისში, ბესიკის 4-ში, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, უნდა მოვიდნენ. წარმოსადგენი დოკუმენტაცია – პირადობის მოწმობა, გაცემული მოწმობა, მისი ასლი ან კურთხევის საფასური. მონანიების საფასური: 50 ლარი“, – აცხადებენ „გირჩში“.

„გირჩმა“ „ბიბლიური თავისუფლება“ ორი წლის წინ, ახალგაზრდების სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან გასათავისუფლებლად დააფუძნა. ამ დროისთვის, რელიგიურ ორგანიზაციას 30 ათასამდე „მღვდელმსახური“ ჰყავს.

„მონების ამბოხებიდან“... სახალხო ამბოხებამდე!

„ბიძინამ გადაგვაგდო!“, „ბიძინამ ხალხი მოატყუა!“ ხშირად გვესმის ამ ბოლო დღეებში. სხვათაშორის, გადაგდებაზე არა მარტო ფეისბუქს ჩაფრენილები და ცრუ ანალიტიკოს-პოლიტიკოსები მოთქვამენ, არამედ, ეს თემა სრულიად საქართველოს საჯილდაო ქვად იქცა!

გუშინ ერთმა მეგობარმა მითხრა, რომ 14 ნოემბერს, საკონსტიტუციო ცვლილებების პარლამენტში ჩავარდნის დღეს, აღშფოთებულმა ტაქსისტმა „დაიმუქრა“ თურმე, რომ ამ მოტყუება-გადაგდებას ივანიშვილს არ აპატიებს!

შეურაცხყოფას არავის ვაყენებ, მაგრამ, იმ ფეხის ხმას აყოლილმა ტაქსისტმა თუ იცოდა, რა ხდება რეალურად ქვეყანაში და რა სარგებლობას ან ზიანს მოგვიტანს პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა მომავალი არჩევნების წინ, ან რატომ ვთელავთ ყოველდღე სახელმწიფოს უმთავრეს კანონს — საქართველოს კონსტიტუციას, სადაც ხაზგასმით ჩაიწერა, რომ საქართველო პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადადის 2024 წლიდან?

რა თქმა უნდა, სიტყვის გატეხვა, ანუ თუ ჟარგონულად ვიტყვით, გადაგდება, ყოველთვის მძაფრ ემოციას იწვევს, მითუმეტეს, თუ ეს ისეთი პერსონისგან მოდის, როგორიც საქართველოს ფორმალური თუ ოფიციალური მმართველი ბიძინა ივანიშვილია, მაგრამ მე პირადად უადგილოდ მეჩვენება საზოგადოების აღტყინება, როცა ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვირის: „ბიძინამ გადაგვაგდოო“!

თქვე კაი ხალხო, 2012 წლიდან დღემდე ივანიშვილს საკუთარი დაპირებებიდან ბევრი რამ არ შეუსრულებია და რაღა ახლა გამოვფხიზლდით, როცა საქმე ანტიქართულ ინიციატივას ეხება?

გააზრებული გვაქვს კი, რას ნიშნავს პროპორციულ არჩევნებზე გადასვლა დღევანდელ პირობებში, მითუმეტეს, 0-პროცენტიანი საარჩევნო ბარიერით?!

თუ დემოკრატიულ არა, დემოკრატიისკენ მიმავალ სახელმწიფოსთან გვაქვს საქმე, ფორმალურად ივანიშვილი არაფერ შუაშია კენჭისყრის შედეგებთან.სხვა საკითხია, რამდენად გულწრფელნი იყვნენ პროტესტანტი მაჟორიტარები და რამდენად დამოუკიდებლად მიიღეს მათ ეს გადაწყვეტილება!

რა შეიძლება მოჰყვეს „მონების ამბოხებას“?

> **„ეს არის მონების ამბოხება“ — ასე ხატოვნად შეაფასა სახალხო პარტიის ლიდერმა, ცნობილმა ანალიტიკოსმა მამუკა გიორგაძემ 14 ნოემბრის საპარლამენტო შოუ.**
>
> **ამ სიტყვებით მან ლაკონურად ჩამოაყალიბა მაჟორიტარების ყალბი პროტესტი, რომ ისინი მონაწილეობას არ მიიღებდნენ საკონსტიტუციო ცვლილებების კენჭისყრაში!**

ყალბი პროტესტი შემთხვევით არ მითქვამს, რადგან ისინი ის ხალხია, ვინც „ქართული ოცნების“ (შესაბამისად, ბიძინა ივანიშვილის) ზურგს ამოფარებულნი აღმოჩნდნენ პარლამენტარის სავარძელში.

თუმცა, თუ მედალს მეორე მხრიდან შევხედავთ, მათი „ამბოხი“ არც უნდა გვიკვირდეს, რადგან, პროპორციულ არჩევნებზე გადასვლის შემთხვევაში, ისინი არსებითად კარგავენ პარლამენტში მოხვედრის პერსპექტივას და თავისებურად კუდი მოიქნიეს.თუმცა, თუ უფრო ჩავუღრმავდებით, მაჟორიტართა პროტესტი უსაფუძვლოა, რადგან იგივე ივანიშვილის მიერ გაცემული „ჯავშნის“! გარეშე მათ მომავალ პარლამენტში მოხვედრის მინიმალური შანსიც არა აქვთ!

აქედან დასკვნა მარტივია: მათი „ამბოხი“ წინასწარ გათვლილ პროცესად უნდა ჩაითვალოს, ვიდრე საკუთარი „ბატონისადმი დაუმორჩილებლობად“.

ლოგიკურად ისმება კითხვები: რატომ ჩააგდო კანონპროექტი „ქართულმა ოცნებამ“, რომლის ინიცირებაც თვითონვე მოახდინა?

რამდენად გულწრფელია ბიძინა ივანიშვილის სახელდახელო განცხადება, სადაც ის „განცვიფრებას“ ვერ მალავს საკონსტიტუციო ცვლილებების ჩავარდნის გამო?

თუ ივანიშვილის განცხადებას ჩავუღრმავდებით, მიხვდებით, რომ მისი, როგორც მმართველი პარტიის თავმჯდომარის ადრინდელი ინიციატივა — პროპორციულ სისტემაზე გადასვლა და 0-პროცენტიანი საარჩევნო ბარიერის დაწესება, მხოლოდ დროის გაყვანის ტაქტიკა და ქართული დემოკრატობანას თამაში იყო, რომელიც, ლოგიკური შედეგით დასრულდა — თავიდანვე უნდა გვეფიქრა, რომ ივანიშვილი „გემრიელ ლუკმას“, ანუ მაჟორიტარის მანდატებს არ დათმობდა, რადგან, დღითი დღე კლებადი რეიტინგის ფონზე მისი ხელისუფლებაში (უმრავლესობაში) დარჩენის შანსი მინიმალურზე დაბალი იქნებოდა!

„პროპორციულ არჩევნებზე გადასვლა საქართველოსთვის პანაცეა არ არის!“

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ დღეს პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა საქართველოსთვის უკუსვლის ტოლფასია. იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში კვალიფიციური (პროფესიული) პოლიტიკური პარტიები არ არიან, რომელთაც გამოკვეთილი იდეოლოგია, სახელმწიფოს განვითარების სტრატეგია და ტაქტიკა (პროგრამაზე რომ არაფერი ვთქვათ) არა აქვთ, მაჟორიტარებზე უარის თქმა აზრს უკარგავს ზოგადად არჩევნებს!

ის, რომ მაჟორიტარებმა პატარა ფეოდალების სტატუსი დაიმკვიდრეს რეგიონებში და გავლენის სფეროების გასაფართოებლად მუდმივ დაპირისპირებაში არიან ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელებთან, არ არის მყარი არგუმენტი, უარი ვთქვათ არჩევნების შერეულ სისტემაზე. თუ ობიექტურად შევაფასებთ, მათი გაძლიერებული მადა უფრო ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან სრულ უკონტროლობაზე და მათ „საბალახოდ“ მიშვებაზე მეტყველებს. ნაბან წყალს ბავშვიც გადააყოლესო, ნათქვამისა არ იყოს, თუ მოქმედი პრაქტიკაა მახინჯი, ეს იმას არ ნიშნავს, საერთოდ უარი ვთქვათ მაჟორიტარულ საარჩევნო სისტემაზე — პირიქით, დავხვეწოთ სისტემა და გავაძლიეროთ კონტროლი მაჟორიტარების საქმიანობაზე, რაშიც გადამწყვეტი როლი თავად ამომრჩევლებმაც უნდა ითამაშონ — მათ უნდა მოსთხოვონ საკუთარ „რჩეულს“ — დაიცვას ამომრჩევლის უფლებები სამოქმედო უბანზე.

რაც არ უნდა მახინჯ პრაქტიკასთან გვქონდეს საქმე, ისინი ელემენტარულ პასუხისმგებლობას მაინც გრძნობენ ამომრჩევლის წინაშე!

რა იქნება, თუ პროპორციულზე გადავალთ?

> **პროპორციულ სიტემაზე გადასვლის შემთხვევაში, მითუმეტეს, 0-პროცენტიან საარჩევნო ბარიერის პირობებში, ნაფტალინიდან ამოძვრებიან ბოლომდე დისკრედიტებული თითოკაციანი პარტიები და მივიღებთ სრულ საპარლამენტო ბალაგანს — პარლამენტი გადაიქცევა სავაჭრო კანტორად, სადაც აქცენტი გადატანილი იქნება საკუთარი ინტერესების ლობირებაზე. მინიმუმამდე შემცირდება პარლამენტის პასუხისმგებლობა, რადგან, ქართული ხასიათიდან გამომდინარე, ჩვენ მივიღებთ რეალობას, როცა პიროვნული პასუხისმგებლობა კოლექტიურ პასუხისმგებლობასთან აითქვიფება და საბოლოოდ, არავინ იქნება პასუხისმგებელი ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე. ქართული კოალიციური პარლამენტის ეფექტურობაში მე პირადად ეჭვი მეპარება!**

რაც შეეხება ერთი მთელისგან წარმოქმნილ ორ ამორფულ პოლიტიკურ დაჯგუფებას — ყოფილ და დღევანდელ საპარლამენტო უმრავლესობას, „ჭ“ კლასის ე.წ. პოლიტპარტიებზე რომ არაფერი ვთქვა, არც ისინი აკმაყოფილებენ პროფესიული პარტიებისთვის დამახასიათებელ მოთხოვნებს და უფრო პოლიტიკური სექტის შთაბეჭდილებას ტოვებენ!

მაშ, რა სარგებლობა მოაქვს ამ შემთხვევაში „მამალს“, ანუ პროპორციულ არჩევნებს?! არანაირი, პირიქით, უფრო პოლიტიკური ქაოსისკენ მიჰყავს ქვეყანა!

ველოდოთ თუ არა რევოლუციას და რატომ გვაძალებენ იმას, რაც ჩვენთვის არ არის სასარგებლო?!

ბევრი შიშობს, რომ შესაძლოა, რუსთაველზე დაწყებულმა პროცესებმა შეუქცევადი ხასიათი მიიღოს და რევოლუციით, ანუ სახელმწიფო გადატრიალებით დაგვირგვინდეს, რაშიც პირადად მე ეჭვი მეპარება.

ჯერ ერთი, რა ფოკუსებიც დაატრიალა ივანიშვილმა, ის მარტო მის თავში არ მოხარშულა და მის უკან მდგარმა ძალებმა კარგად იციან, რომ დღეს საქართველო არ არის მზად ახალი რევოლუციისთვის, ანუ ყველაფერი წინასწარ დაგეგმილი სცენარით იმართება და მოსალოდნელი შედეგიც წინასწარვეა ცნობილი.

უდავოა ისიც, რომ ამ „გასროლით“ ივანიშვილმა მოკეკლუცე და ნაფტალინიდან ამოყრილი პარტიები საბოლოოდ გააშიშვლა. ყველა ერთის, ანუ ივანიშვილის წინააღმდეგ გაერთიანების ლოზუნგმაც ვერ გადაფარა „ნაციონალების“ გვერდით დადგომით გამოწვეული უარყოფითი ემოცია — ისინი ეშმაკსაც შეეკვრებიან, ოღონდ, რაღაც „სასუსნავი“ იშოვონ. ასე რომ, რუსთაველზე მიმდინარე აქციები და ცალკეული პოლიტ-პროსტიტუტკების (მაპატიეთ, ჟარგონისთვის) გაერთიანება მათ არსებით შედეგს ნამდვილად არ მოუტანს — დიდი-დიდი შეიძლება, ივანიშვილმა ერთი უმწეო „ბარტყი “ გადაუგდოს!

ბოლო დღეების ქრონიკამ დაგვანახა, რომ ქართული პოლიტიკური სივრცე პოლიტიკური ნაგვისგან უნდა განთავისუფლდეს — ყველა მათგანი (დიდ-პატარიანად) პოლიტიკურ სანაგვეში უნდა მოვისროლოთ.

ზაურ ნაჭყებია

P.S.

როგორც ცნობილია, მაჟორიტარულ სისტემაზე გადასვლა ჩვენი ე.წ. პარტნიორების და საერთაშორისო თანამეგობრობის მოთხოვნაა, რომელსაც მარიონეტი ხელისუფლება ყოველთვის უსიტყვოდ ასრულებს. პროპორციული სისტემაზე გადასვლისას მოსალოდნელ უარყოფით შედეგებზე ზემოთ ვისაუბრე. ახლა მხოლოდ ერთ მოკრძალებულ კითხვას დავსვამ: რატომ არ შეიძლება საქართველოში გვქონდეს ორპალატიანი (ზედა და ქვედა პალატა) საპარლამენტო სისტემა, თუ ასეთი რამ ამერიკაში და სხვა სახელმწიფოებშიც არსებობს, ან რატომ გვაიძულებენ ისეთ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას, რომელიც ქვეყანას მხოლოდ საპარლამენტო ქაოსში შეიყვანს?

ზ. ნ.

„მედიაცენტრ მთავარს“ სოფო ხორგუანი საკუთარ ფართს დაუთმობს

უფლებადამცველი სოფო ხორგუანი „მედიაცენტრ მთავარს“ მუშაობის გაგრძელებისთვის საკუთარი ბინის ნაწილს დაუთმობს.

„ბოლო 10 წელია, ჩემი კერძო კომპანია მაქვს, ჩემი პირადი შემოსავლებით შევიძინე ბინა, სადაც ნაწილს დავუთმობ „მედიაცენტრ მთავარს“, რადგან ვიცი, რას ნიშნავს, როცა მარტო, მხოლოდ შენი უნარებით, შრომითა და მონდომებით იმკვიდრებ ადგილს, როცა ერთ დღეს ქუჩაში რჩები შენი პირადი ბრალეულობის გარეშე, როცა თავს დამტყდარი სასოწარკვეთამდე ერთ ნაბიჯს გიტოვებს და როცა არ იცი, ხვალ რა უნდა აკეთო, როგორ გადარჩე. გადარჩე როგორც ადამიანი, როგორც მოქალაქე, როგორც პროფესიონალი. ჰოდა, უბრალოდ ვინმემ გაბედოს და ჩემს კერძო საკუთრებაში შემოჭრა სცადოს“, — წერს ხორგუანი.

პრესკლუბმა „მთავარი“ მუშაობა შეაჩერა და პრესკლუბში პრესკონფერენციები არ გაიმართება.

როგორც პრესკლუბ „მთავარის“ ხელმძღვანელი ეკა გულუა აცხადებს, დამოუკიდებელ მედიაორგანიზაცია „მედიაცენტრ მთავარში“ ორჯერ შეიჭრნენ საპროტესტო აქციის ახალგაზრდული ფრთის — „სირცხვილია“ და „გაბედეს“ წარმომადგენლები, რომლებმაც პრესკონფერენცია ჩაშალეს და მთელ შენობაში შექმნეს გარკვეული სახის დისკომფორტი.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲛᲐᲪᲐᲨᲕᲘᲚᲘ: ᲐᲛᲐᲗᲖᲔ ᲐᲮᲚᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲐᲚᲐᲚᲘᲐ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲐᲮᲐᲚᲐᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ!

ᲣᲙᲕᲔ თვეებია, რაც ამ საგიჟეთს ვუყურებთ.

რიგი მიზეზების გამო ვდუმდი დღემდე, მაგრამ ამ დუმილსაც აქვს საზღვარი.

ვინც დედამ დაწყევლა და ვისაც არ ეზარება, ყველა ბინძური მეთოდებით ცდილობს ყურადღების მიქცევას და სახელმწიფოს ჩამოსაშლელად აგურს აგურზე ამატებს.

ბევრ ნაცნობ ნაძირალას რამდენიმე უცნობიც მიეტმასნა და სულ რაღაც რამდენიმე ათეული (გნებავთ, ასეული!) პროტესტანტის **(უფრო მართებულად თუ ვიტყვით — ექსტრემისტის!)** გამო ქვეყანა ზარალდება.

ისე ურცხვად და უტიფრად ივიწყებენ 7 ნოემბერს და 26 მაისს, თითქოს დიდი სუფრა ჰქონდათ გაშლილი, უპოვრებს აპურებდნენ იმ დაწყევლილ დღეებში და თავმდაბლად არ იხსენებენ მხოლოდ... არადა, თავადაც გახლდით იმ დღეებში დაზარალებულიც და რეზინის ტყვიებით დაცხრილულიც! **დიახ, სწორედ 7 ნოემბერი, 6 მაისი, 15 ივნისი და 26 მაისი იყო რეალური სახე ამ ნაძირალებისა! დღეს არ აწყობთ და არ იხსენებენ არც 26 მაისს, ჯიხურების თავზე შემოყრილ გვამებს და გველურად სისინებენ წყლის ჭავლით დაშლილ აქციებზე...**

არადა, როგორც ვახტანგ გომელაურს დაქვემდებარებულმა პოლიციურმა ძალებმა დაშალეს (!) კანონის დამრღვევები, მგონი, ბოლო წლების ისტორიას მსგავსი დაშლა(!) არც ახსოვს!

არადა, რომ ვუკვირდები, **ამათზე ახლა მართლა ალალია შინაგან საქმეთა მინისტრად მერაბიშვილი** და აქციის მთავარ **დამშლელ ძალად — ახალაია!** (სულერთია — რომელი!)

არადა, რომ ვუკვირდები, **ამათზე მართლა ალალია პრეზიდენტად მიხეილ სააკაშვილი** და კაკალაშვილის პოეზიით გამთბარი ძვლები მერე გენახათ...

არადა, ამათზე, მგონი, **მართლა ალალია დუუმორეული თარგამაძე (გივი) და „სულის ამოხდა“ მერე გენახათ!**

ამათზე მართლა ალალია და უსაყვედურო სისხლზე მოსიარულე საკრებულოს თავმჯდომარე ბეგაშვილი **(მერე „ფუკასავით“ რომ გადამალეს)** და ძვლებში დამტვრევა მერე გენახათ.

„დათა თუთაშხია“ გამახსენდა.

„რას დაგამსგავსათ მამაძაღლმა და მოსასპობმა თაბაგარმა, თუ ფიქრობთ ამას?!“ — თითოეულ იმ მომიტინგე ლიდერს მინდა ვკითხო, რომელთა უმრავლესობასთან ერთადაც ვებრძოდი სააკაშვილსა და მერაბიშვილის ზონდერრეჟიმს, მაგრამ მათთვის ახლა კითხვების დასმაც ზედმეტია.

26 მაისის „ბართლომეს ღამე“ თუ ვერ განგიცხადებიათ წყლის ჭავლით დაშლილი აქციისგან, მართლა „ბარაქალა“ თქვენ!

უმადურობა კი არა, უნამუსობა და **სახის დაკარგვა ჰქვია თქვენს საქციელს და ესაა მწარე სიმართლე!**

თქვენი გამკვირვებია, თორემ **უგულავას** და **ბოკერიას** რა უნდა მოვთხოვო, 26 მაისს დახოცილი და ცხრა წლის განმავლობაში დახვრეტილი ახალგაზრდების სისხლი დღემდე არ შეშრობიათ და მეტიც — ამით დღესაც ამაყობენ კიდეც!

ერთმნიშვნელოვნად უნდა ვთქვა: **საკაშვილის ზონდერ-ოპოზიცია არ არის გომელაურის მინისტრობის ღირსი!**

არც პოლიციელთა გმირობის ტოლფასი მოთმინების ღირსია ეს სეპარატისტული „ბრიაშკა“, თორემ ბოკერიას და უგულავას მუქარებს მიტინგებზე კი არ უნდა ვისმენდეთ, ციხის საკნიდან თავს ვერ უნდა ყოფდნენ, წესითა და კანონით!

სააკაშვილის და მისი „გებელსის კანტორა“ სწორედ მერაბიშვილსა და ახალაიას იმსახურებს ძალოვან მხარედ და მიტინგის დამრბევად!

შეშის სროლა მერე გენახათ!

არადა, გასათბობად მიტანილი შეშა რა მიზნითაც გამოიყენეს, თვალნათლივ დავინახეთ ყველამ... წყლის ჭავლით დაშლაზე ამბავს ტეხენ და შეშა მერაბიშვილის ზონდერებისთვის რომ მიეტანათ და მითუფრო — ესროლათ, რა შედეგსაც მიიღებდნენ, ძნელი გამოსაცნობი არაა, ვფიქრობ... ციმბირი უკან დარჩებოდათ უბედურებს!

მეგისა ქარდავას გმირობები მერე გენახათ!

წყლის ჭავლი კი არა, ცეცხლის გახსნა გენახათ მერე!

თუმცა, გადაახვიეთ ისტორია რამდენიმე წლით უკან და თუ ბრმები არ ხართ, განსხვავებასაც უმალ დაინახავთ!

მარა, რად გინდა...

„ბრმების შკოლაა“ და...

P.S.

ᲔᲥᲡᲢᲠᲔᲛᲘᲡᲢᲣᲚᲘ ნაცბანდის, მათი ანასხლეტების, გნებავთ, თავგასიებულებისა და გნებავთ, „გებელსის კანტორის“ წევრთა გასაგონად განვმეორდები:

26 მაისი და 7 ნოემბერი აღარ განმეორდება და მეტიც — ხალხმა თქვენ უკვე ისტორიის სანაგვეზეც მოგისროლათ!

კანონის დარღვევა დასჯადია!

პოლიციელი გმირია!

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲚᲐᲢᲐᲠᲘᲐ: ᲚᲔᲕᲐᲜ ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲝ, ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲨᲘ ᲛᲘᲨᲐᲡ ᲛᲮᲓᲐᲚᲡ ᲓᲐ ᲚᲐᲩᲐᲠᲡ ᲐᲠ ᲔᲫᲐᲮᲓᲘ?

„ᲐᲮᲚᲐ რომ ხბოს აღტყინებით შესციცინებ მიშას, უახლოეს წარსულში მხდალსა და ლაჩარს რომ ეძახდი?“ — ამ სიტყვებით ექსპერტი ირაკლი ლატარია რესპუბლიკური პარტიის ლიდერს ლევან ბერძენიშვილს სოციალურ ქსელში წარსულს ახსენებს.

მისი თქმით, ბერძენიშვილი სწორედ იქ უნდა იდგეს, სადაც ახლა დგას, რადგანაც ის და მიშა ადრეც ერთნი იყვნენ და ახლაც ერთნი არიან.

„ბატონ ლევან ბერძენიშვილს მივმართავ, არ დამეზარა და შენი სიტყვები გავშიფრე თავიდან ბოლომდე. ახლა რომ მიშას ხბოს აღტყინებით შესციცინებ თვალებში, უახლოეს წარსულში ნათქვამი მაინც გაიხსენე, ლაჩარს, არაკაცსა და მხდალს რომ ეძახდი. ნებისმიერი ღირსეული პრეზიდენტი ტყვიას დაიხლიდა შუბლში 2008 წლის ომის შემდეგო! რა შეიცვალა? შენ შეიცვალე თუ მიშა?

კარგია, სწორია, ახლა სადაც დგახარ, იქ უნდა იდგე. ერთნი ხართ და მაშინაც ერთნი იყავით!

ᲐᲘ, ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ, ᲒᲘᲐ ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ ᲡᲢᲣᲛᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲠᲝᲛ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲥᲕᲐ „ᲡᲘᲐᲛᲐᲧᲘᲗ“!

„მიხეილ სააკაშვილმა დაიწყო წახდენა საქმის და გამოავლინა თავისი მთავარი საფიქრალი. მთავარი საფიქრალი ამას ჰქონია, რომ მოემზადებინა და წარმატებით მოეგო ომი. ამას თურმე მართლა დავით აღმაშენებლობა უნდოდა, უნდოდა ოსეთის აღება და საქართველოს გათავისუფლება. შეიძლება, ცუდი ფიქრები არ არის, მაგრამ როდესაც მთელი მსოფლიო გეუბნება, რომ კონფლიქტი მშვიდობიანი გზით გადაწყვიტე და ამას ჰგონია, რომ ასე რომ ეუბნებოდნენ, ფაქტის წინაშე დავაყენებ, ავიღებ და მერე რას იტყვიან? გათვლა მისი აღმოჩნდა ზუსტად ისეთი, როგორც ყველა სხვა საქმეში. ჩვენ უკვე გავხდით ისეთი ქვეყანა, სააკაშვილის დროს, რომ შეიძლება შემთხვევითმა ტანკებმა აგვიღონ, თავი მოგვეჭრა. ის იყო მთავარსარდალი, ნებისმიერი ღირსეული მთავარსარდალი ტყვიას დაიხლიდა იმ წუთას, როდესაც დაიკარგებოდა ახალგორი და კოდორი. ჩვენ ვერ ავირჩიეთ ისეთი კაცი, ვისაც ნაციონალური ღირსება ექნებოდა. ის არის საქართველოს პრეზიდენტი და ღირსების ნატამალი არ აქვს. პირადი თვისებებით ჩვენ წინაშე წარდგა კაცი, რომელმაც შეგვარცხვინა მსოფლიოს წინაშე იმიტომ, რომ თავის დაცვას გაექცა“, — წერს ლევან ბერძენიშვილი.

ᲛᲐᲗᲗᲐᲜ ᲡᲐᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ, ᲗᲔᲛᲐ ᲓᲐᲮᲣᲠᲣᲚᲘᲐ, ᲛᲝᲔᲛᲖᲐᲓᲝᲜ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ!

— ᲐᲡᲔ უპასუხა იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ეროვნულ ბიბლიოთეკასთან შეკრებილ ოპოზიციას და აქციის მონაწილეებს.

როგორც წულუკიანმა ბიბლიოთეკაში შესვლისას განაცხადა, მიუხედავად საპროტესტო აქციისა, მას შენობაში შესვლა სამართალდამცველების დახმარებით არ გასჭირვებია.

ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲙᲘᲙᲜᲐᲫᲔ: ᲛᲢᲔᲠᲡ ᲐᲠ ᲛᲝᲐᲮᲠᲩᲝᲑ, ᲘᲡ ᲛᲝᲒᲐᲮᲠᲩᲝᲑᲡ

— ᲫᲐᲚᲘᲐᲜ გათავხედებული არიან, ვინ არის ეს ჩაფხუტიანი, რომ პრეზიდენტი წარდგეს და მას ელაპარაკოს, ეს თავხედი. დემოკრატია არ ნიშნავს უზრდელობას. რასაც მინდა, იმას ვიტყვი, აი მაგათი დემოკრატია.

ფულზე გაყიდული ახალგაზრდობა, რა საკვალალოა, აი ეს დანერგა სააკაშვილმა. ჩვენ პოლიციური ქვეყანა უნდა გავხდეთ და არა დემოკრატიული. თავზე უნდა გადაგიარონ და შენ კი პასუხი არ უნდა გასცე თურმე.

დემოკრატია პირველ რიგში კანონის უზენაესობა არის, ჩვენ ქვეყანაში კი,პირველ რიგში ხელისუფლება არ იცავს კანონებს და ამათ რა უნდა გაიგონ, ვინ ხარ, საიდან ხარ, რა გინდა, იცი?გახრწნილობასაც აქვს საზღვარი, ისე, როგორც თავხედობას. მტერს არ მოახრჩობ, ის მოგახრჩობს, აი, ეს კი ჭეშმარიტებაა. მორჩა, — წერს მსახიობი ქეთევან კიკნაძე.

რუსული ხორცპროდუქტები ქართულ ბაზარზე

ქართული კომპანიების დახურვის საფრთხე...

„თუ ეს ზეწოლა გაგრძელდება, ჩვენც გავჩერდებით, სახელმწიფოს ბრძოლას ხომ არ დავუწყებთ, დავითხოვთ თანამშრომლებს და წავალთ სახლში“ — კომპანია „ჩირინას“ (ბრენდი „ბიუ-ბიუ“) დამფუძნებელი რევაზ ვაშაკიძე საქართველოში რუსული ხორცის იმპორტის ზრდას აფასებს.

სამი რუსული კომპანია ბელგოროდიდან — **„ბელგრანკორმი“, „პრიოსკოლიე“ და „კოროჩა“** — საქართველოში ფრინველის, ძროხისა და ღორის ხორცის შემოტანას იწყებს. როგორც გამოცემა Ria წერს, 2019 წლის აპრილში საქართველოს ვეტერინარულმა სამსახურმა რუსეთში საწარმოების ინსპექცია ჩაატარა. შედეგად, ამ სამ კომპანიას თავიანთი პროდუქციის რეალიზაცია საქართველოში უკვე შეუძლია, რადგან მათივე თქმით, ქართული კანონმდებლობის სტანდარტებს აკმაყოფილებენ.

იმ ფონზე, როდესაც ხორცის მწარმოებელი კომპანიები ხმამაღლა საუბრობენ, თუ როგორ ყლაპავს ადგილობრივ ხორცპროდუქტებს იმპორტირებული ხორცი, საქართველოს ხელისუფლებამ კიდევ სამი კომპანიის შემოყვანა გადაწყვიტა. ადგილობრივი მეწარმეები ამას მათ წინააღმდეგ გადადგმულ მორიგ ნაბიჯად აფასებენ და მიიჩნევენ, რომ ადმინისტრაციული შევიწროებები მათ მიმართ მალე ხორცის ბიზნესის ჩაძირვას გამოიწვევს. ერთ-ერთი ასეთი კომპანია „ბიუ-ბიუ“ 5-წლიანი არსებობის მანძილზე ბოლო პერიოდში განსაკუთრებული დაკვირვების ქვეშაა და არაერთხელ გაეხვა სკანდალში, რომელსაც მისი დამფუძნებელი რევაზ ვაშაკიძე იმპორტიორებისა და ზოგიერთი ჩინოვნიკის ერთობლივ ქმედებას აბრალებს.

„ჩვენ პრობლემა არ გვაქვს კონკურენციაზე, ეს რომ ჯანსაღი იყოს. რუსეთზე უფრო კონკურენტუნარიანი ჩვენს სფეროში უკრაინაა. მინდა, აღვნიშნო, რომ ძალიან გავრცელებული მეთოდია კონკურენტების ჩაგვრა. უკვე ერთი თვეა, დაწყებულია ეს პროცესი, რომელიც მიმართულია იმისკენ, რომ რამე ხარვეზი გვიპოვონ, დაიწყება ბრძოლა და სახელის გაფუჭება. უკვე დაწყებულია არაჯანსაღი კონკურენცია, ზოგიერთი ჩინოვნიკი კი ამას ემხრობა, რომ ჩვენ გავჩერდეთ. რუსული კომპანიები ერთი შემოწმების შედეგად შეფასდა და ამიერიდან შემოიტანენ თავიანთ პროდუქტს, რომელიც არავინ იცის, მერე როგორი იქნება. ჩვენთან კი ორი კვირაა, სურსათის ეროვნული სააგენტოს 10-ზე მეტი თანამშრომელი ზის და იკვლევს. ხელშეწყობა უნდა იყოს ადგილობრივი წარმოების და არა ის, რაც ახლა ხდება. — ამბობს რევაზ ვაშაკიძე.

ფრინველის ხორცის მწარმოებელი კიდევ ერთი ცნობილი კომპანია „მუხრანის ქათამია“. მისი დამფუძნებელი მამუკა ნოზაძე მიიჩნევს, რომ ჩამოტანილი პროდუქტი ადგილობრივს ანაცვლებს იმიტომ, რომ სამთავრობო დონეზე ხორცის წარმოების მიმართ დაინტერესება არავის არ აქვს და დარგი იღუპება.

„ქართული ხორცის ბაზარს განვითარების დიდი პოტენციალი აქვს, მაგრამ ამის საშუალებას არ აძლევენ. სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტი გათავისუფლებულია დამატებითი ღირებულების გადასახადისგან, კვერცხისა და ქათმის გარდა. სწორედ ამიტომ, ეს ბიზნესი საქართველოში არ ვითარდება. რუსეთში, სომხეთში, აზერბაიჯანში, ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში ეს სფერო გათავისუფლებულია გადასახადისგან, ჩვენთან კი ასე არ ხდება. კიდევ უფრო დაახრჩობენ ადგილობრივ წარმოებას ეს რუსული კომპანიები. რუსეთი დიდი ქვეყანაა, თავისი ნედლეული აქვს. ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელსაც ნედლეული არ გაგვაჩნია. მარცვლეული სიმინდიც კი არ მოჰყავთ გლეხებს იმიტომ, რომ მეფრინველეები არ ყიდულობენ. სიმინდი დაუბეგრავია, ჩვენი სფერო დაბეგრილი, ეს დაუბეგრავი სიმინდი რომ ვიყიდო გამოდის, რომ უნდა დავბეგრო. ამიტომ ვყიდულობთ რუსულ მარცვლეულს. ვიტამინები, მედიკამენტები, ყველაფერი იმპორტირებული შემოდის და ჩვენთან წარმოება უფრო ძვირია. რუსეთს თავისი აქვს ყველაფერი და წარმოებაც იაფი უჯდებათ. იქიდან ჩამოტანილი ხორცი აქაურ პროდუქტს რომ ჩაანაცვლებს, ეს აშკარაა.“ — ამბობს მამუკა ნოზაძე.

ქართულმა მხარემ კომპანიებში ინსპექტირება აპრილში ჩაატარა, უწყების ცნობით, სწორედ ამის შემდეგ გადაწყდა, დამატებითი ინსპექტირება აღარ ჩატარებულიყო.

მარიამ მორგოშია

მოიტანა თუ არა შედეგი თამბაქოს განუწყვეტელმა გაძვირებამ?!

თამბაქოზე დაწესებული რეგულაციების პარალელურად, არალეგალურმა პროდუქციამ საკმაოდ იმატა როგორც მეზობელი ქვეყნებიდან, ისე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან. უკვე გაძვირდა ერთადერთი დარჩენილი იაფი პროდუქტი — თუთუნი და პარალელურად, ყოველწლიურად მატულობს სიგარეტის ფასი. ბიზნესმენები ითხოვენ ინფორმირებულნი იყვნენ აქციზის ზრდის სამთავრობო გეგმის შესახებ, რაც მათ ზარალისგან დაიცავს.

„ეისითი იმპაქტის“ კვლევის მიხედვით, ამ მიზეზით საქართველოში წლიურად 10%-ით მოიმატა თამბაქოს კონტრაბანდამ აზერბაიჯანიდან, თურქეთიდან კი — 34%-ით.

გარდა ამისა, თამბაქოზე ფასის ზრდის უმთავრესი მიზანი, რომ ქვეყანაში მწეველთა რაოდენობა შემცირებულიყო, არაეფექტური გამოდგა. კვლევაში აღნიშნულია, რომ თამბაქოს გაძვირების გამო მხოლოდ 5.3%-მა დაანება თავი მოწევას. კომპანიის წამყვანი ანალიტიკოსი **ლიკა გოდერძიშვილი** ამბობს, რომ მწეველთა თითქმის მესამედი თამბაქოზე თავის დანებების ნაცვლად ე.წ. გასახვევ თამბაქოზე გადავიდა.

„კვლევამ გამოავლინა, რომ არამწეველების 67%-მა მოწევას თავი 2 წლის წინათ დაანება, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ ქცევაზე ახალ რეგულაციებს გავლენა არ მოუხდენია. თითქმის ყველა ამბობს, რომ მიზეზი ჯანმრთელობის მდგომარეობა ან რელიგია, ან შვილიშვილების თხოვნა იყო. რაც შეეხება აქტიურ მწეველს, მათი მესამედი აქტიურად აგრძელებს გასახვევი თამბაქოს მოხმარებას და ის, ვინც ჯერაც არ ეწევა გასახვევ თამბაქოს, მათი 16% ფიქრობს, რომ მომავალში თუთუნზე გადავა“, - განაცხადა ლიკა გოდერძიშვილმა.

საქართველოში თამბაქოს არალეგალური შემოდინება დღეს დიდი პრობლემაა, რადგან მეზობელ ქვეყნებში სიგარეტის ფასი გაცილებით დაბალია, ვიდრე ჩვენთან. ამიტომ, ბუნებრივია, რომ მწეველი გამოსავლს, შედარებით იაფ და კონტრაბანდული თამბაქოს შეძენაში ხედავს.

თამბაქოს ინდუსტრია მიიჩნევს, რომ სიგარეტზე აქციზის სწრაფი ზრდა, რაც მთავრობას აქვს დაგეგმილი, დააზარალებს ბიზნესს და ბიუჯეტს შემოსავლებს დააკარგვინებს. ბიზნესი მთავრობას მიმართავს, სიგარეტზე აქციზი ეტაპობრივად გაიზარდოს და განაკვეთმა ათას ღერ სიგარეტზე 90 ევროს 2029 წლისთვის მიაღწიოს.

ამასთან, კერძო სექტორის თხოვნაა, ეტაპობრივად გაიზარდოს მხოლოდ ფიქსირებული გადასახადი, ადვალური კი 30-დან 10%-მდე შემცირდეს და ამით პირვანდელ ნიშნულს დაუბრუნდეს (ადვალური გადასახადი 2018 წლის დეკემბერში 10-დან 30%-მდე გაიზარდა, რასაც სიგარეტის მკვეთრი გაძვირება მოჰყვა).

ბიზნესი თანახმაა, რომ ადვალური გადასახადის შემცირების ხარჯზე ფიქსირებული განაკვეთი ერთჯერადად გაიზარდოს 80 თეთრით, ხოლო შემდგომში ყოველწლიურად 10 თეთრით. შესაბამისი წერილით თამბაქოს ინდუსტრიამ პრემიერ-მინისტრს, ფინანსთა მინისტრს და ბიზნესომბუდსმენს მიმართა.

პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე **აკაკი ზოიძე** მიიჩნევს, რომ თამბაქოს ბიზნესის მოთხოვნა არასწორია, რადგან მათთვის აქციზის ზრდის წინასწარ დათქმა რისკს შეიცავს. **„როცა კომპანიებს აქციზის ზრდის შესახებ წინასწარ ეცოდინებათ, ისინი აქციზური მარკების მარაგებს შეიქმნიან“,** — აცხადებს ზოიძე.

ამ მოსაზრებას კატეგორიულად არ ეთანხმებიან თამბაქოს ინდუსტრიის წარმომადგენლები. „ჯეი-თი-აის“ კორპორაციული დირექტორის **ივანე ხასიას** აზრით, ტყუილია, რომ აქციზის ზრდის გრძელვადიანი გეგმის შესახებ ინფორმაციას ბიზნესი არასწორად გამოიყენებს.

„ადვალური გადასახადის მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, ჩვენ წლის დასაწყისში ვიცოდით, რომ 2020-დან აქციზი 30-დან 50 თეთრამდე გაიზრდებოდა, თუმცა, ამის გამო მარაგების კეთება არავის დაუწყია. გრძელვადიანი გეგმის არსებობა კი ევროკავშირში დამკვიდრებული პრაქტიკაა და იქ მარაგების შექმნის პრეცედენტი არ ყოფილა.

მარაგის შექმნა დიდ ფინანსურ რესურსს მოითხოვს, რაც არავის უღირს. 2-3 თვის მარაგი წინასწარ რომ გააკეთოს ბიზნესმა, ამისთვის მილიონები უნდა იყოს მობილიზებული, რაც არარეალურია. ყველაზე ძლიერი არგუმენტი კი, რაც გამორიცხავს მარაგების შექმნას, არის ის ბერკეტი, რომელიც გააჩნია შემოსავლების სამსახურს, როდესაც ნებისმიერ დროს შეუძლია, უარი უთხრას მარკების გაცემაზე, თუკი უწყება დაინახავს, რომ ესა თუ ის კერძო კომპანია არაკეთილსინდისიერად მოქმედებას იწყებს“, — განაცხადა ხასიამ.

ამ ეტაპზე თამბაქოს ინდუსტრიაში ჩართულ კომპანიებს ერთსულოვანი მოთხოვნა აქვთ. ისინი ითხოვენ, ინფორმირებულნი იყვნენ აქციზის ზრდის სამთავრობო გეგმის შესახებ, რაც ბიზნესს მოსალოდნელი ზარალისგან დაიცავს.

გეჟა დანელია

ტყიბულში აქციას მართავენ

ტყიბულში აქციას იმ შპს-ების წარმომადგენლები მართავენ, რომლებიც ნახშირს ღია კარიერის წესით მოიპოვებდნენ. აქციის მონაწილეები მადნეულის მოპოვების უფლების აღდგენას ითხოვენ. მათი თქმით, გარემოს დაცვის პოლიციამ ნახშირით დატვირთული მათი კუთვნილი ხუთი სატვირთო ავტომობილი გააჩერა და მათ მოძრაობის საშუალებას არ აძლევს.

შპს-ებს, რომლებიც „ჯიაიჯი ჯგუფის“ კონტრაქტორები იყვნენ, ხელშეკრულება 2015 წელს ამოწურათ, თუმცა ნახშირის მოპოვებას ღია კარიერის წესით მაინც აგრძელებდნენ.

„ჩვენ უკან დგანან ოჯახები, გვყავს შვილები და გვაქვს ბანკის ვალები, ამიტომ ნახშირს მოვიპოვებდით და ახალქალაქში გადაგვქონდა გასაყიდად“, — განუცხადა საქართველოს პირველ არხს აქციის ერთ-ერთმა მონაწილე იაგო ლომთაძემ.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის თემურ ჩუბინიძის ინფორმაციით, კომპანია „საქნახშირიკოალოფჯორჯია“ მზადაა, კონტრაქტები შპს-ებთან კვლავ გააფორმოს იმ შემთხვევაში, თუ ისინი მადნეულის მოპოვების სამუშაოების დროს უსაფრთხოების სტანდარტებს დაიცავენ.

სიმწარეც და სიტკბოც მამულისა!..

ეჰ, რა ვიცი, პერფორმანსია, შოუა თუ სპექტაკლი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ქვეყანა აწრიალდა, პოლიტიკა ჩიხშიაო, ამბობენ,. პოლიტიკისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩიხში ხალხი რომ არის მოქცეული, ამაზე რას ვიტყვით! გაჩნდა შიში, უიმედობა. ლარი გინდ გქონია და გინდ — არა, ფასები სურსათ-სანოვაგეზე იმატებს და ყველაფერი ეს ძლიერ ურტყამს პატიოსანი, მშრომელი კაცის ჯიბეს, თუ აქვს საერთოდ ჯიბე ასეთ კაცს.

რამ გამოიწვია ყოველივე ეს? არ ვიცით. ცხადი ერთი რამ არის მხოლოდ, არეულობას და ქვეყნის დაქცევას თავად ქართველების ერთი ჯგუფი უწყობს ხელს და ცდილობს, რაც შეიძლება მეტი აურზაური ატეხოს, მთავრობაზე განაწყენებულ ხალხს თავი მოუყაროს, მიიქციოს საქართველოს დასავლელი მეგობრების ყურადღება, რათა ყველას დაუმტკიცოს ჩვენი მთავრობის სისუსტე, უძლურება, შეცდომები და აი, ასე, მათგანაც მხარდაჭერილი, ვითომცდა ქვეყნისა და ხალხის ჭირ-ვარამით „გადარეული“ შეიჭრას პარლამენტში. არადა, ძვირფასო თანამემამულენო (პარლამენტში შესაჭრელად გამზადებულნო!), ხომ იცით, რას ნიშნავს მამული! იგი მხოლოდთქვენი არ არის, ხალხის არის, ანუ ყველასი, ვინც ამ ქვეყანაში ცხოვრობს და განსაკუთრებული უპირატესობით კი მათი, ვინც მასზე ზრუნავს, ვისაც მის გასაძლიერებლად ოფლი დაუღვრია და ვისაც ის ნამდვილად უყვარს. თუმცა ამ სიყვარულზე სახალხოდ კი არ გაჰყვირის, არამედ, სრულიად უხმაუროდ ეფერება და უვლის მას, მისი ტკივილების მოსაშუშებლად წამალს დაეძებს. ეს წამალი კი, სამწუხაროდ, ყველამ როდი ვიცით, რაც არის: შრომა, შრომა და კიდევ შრომა, და არა უადგილოდ, პროსპექტებზე და მოედნებზე განგაში, სტვენა, მანქანებით ისედაც გზაჩახერგილი ქუჩების გადაკეტვა, ვხედავთ, რომ თქვენს რიგებში პარლამენტარებიც დგანან, ვინ დაუშალა მათ პარლამენტის სხდომებზე ყოფნა და ტრიბუნიდან ხალხთან საუბარი? არავინ! მაგრამ ახლა თქვენ პარლამენტის სხდომები კი არ გაინტერესებთ, არამედ იქ ძალითა და ღონით შევარდნა, რევოლუციურად, ბოლშევიკურად. ასეთი ქმედება რომ სამშობლოს სასიკვდილო ჭრილობას აყენებს — ამაზე თუ დაფიქრებულხართ ნეტავ. არა, არ გიფიქრიათ ამაზე. და ხალხიც, შესაბამისად, ეჭვის თვალით გიყურებთ. ეს ჯგუფი, ახლა რომ თავს ოპოზიციას უწოდებს, არ არის საიმედოო, ასე ფიქრობენ დაკვირვებული ადამიანები. კიდევ კარგი, რომ არიან მოფიქრალნიც, თორემ რა ეშველებოდა საქართველოს იმპულსებითა და ბოღმით გაჯერებულთა ხელში! ისინი ხომ თავის დროზე ჩაფლავდნენ ეროვნულ გამოცდებში, ახლა ნეტავ, რას ებღაუჭებიან. გადატრიალებისა და ახალი მთავრობის შექმნის სურვილით აღტაცებულ-გატაცებულებს, თავიანთი „მოღვაწეობის“არცთუ დიდი ხნის ისტორია სულ დავიწყებიათ, კვლავ სათავეში მოსვლა აინტერესებთ. ნეტავ, რა დარჩენიათ სათავისოდ გადანახული? არა, ხალხზე ვფიქრობთო, ბიძინამ ვერ მოგხედათ, სიღარიბეში ჩაგაგდოთ და ჩვენ ვართ ახლა აგერ, თქვენი უსასოო მდგომარეობით გულდამწვარნიო. ვიღაცები რომ უჯერებენ კიდეც! შეიძლება არც უჯერებენ, მაგრამ კარგად იყენებენ სხვის თვალში ბეწვის დანახვის იშვიათი უნარით, თავიანთ მიერვე შექმნილ უხერხულ სიტუაციებს (ხან მოხერხებულსაც). ვერა ხედავთ, როგორ გამოიყენეს ახალგზრდების მიერ წამოწყებული პროტესტი?

აქვთ კი მათ პროტესტების გამოხატვისა და დემონსტრაციების მოწყობის უფლება? ვინ ჩამორეცხა ნეტავ, მათ ის სიბინძურე, რომელშიც ერთ დროს კარგა გვარიანად ამოისვარნენ? ახლა სხვისას „ვაჯკაცური შემართებით“ წამოედვნენ! დაგვისახელონ თავიანთი მამულიშვილური ნამოქმედარი, თავიანთი სიტყვისკაცობა და მერე კი ბატონო, ერთად გავუსწორდეთ დღეისათვის დაშვებულ შეცდომებს! დიახ, ეს ასეა, არც სიკეთე, არც ბოროტება არ უნდა დაგვავიწყდეს. სათქმელი — ავი თუ კარგი, უნდა ითქვას, თეთრი თეთრად დავინახოთ, შავი კი შავად! აქ ქვეყანაზეა ლაპარაკი და არა ერთი ვინმე პერსონის ეზო-კარზე. განა შეგვიძლია, არ ვთქვათ დღევანდელი მთავრობის მიხვეულ-მოხვეულ გზებზე, მომავალი არჩევნების წესისა და რიგის შესახებ? და მართლაც, როგორ გინდა, ამ ფაქტს გვერდი აუარო, მთავრობის ამ უცნაურ ნაბიჯს ახსნა მოუძებნო... სიტყვა მოგვცეს, პროპორციული არჩევნების წესზე დაგვეთანხმნენ, შემდეგ კი შეცვალეს ეს გადაწყვეტილება, ვითომ მაჟორიტართა დაჟინებული პროტესტით! არ არის ეს კარგი ამბავი. თუმცა, რას გაიგებ, რა არის კარგი და რა — ცუდი. ამერიკაში რომ არჩევნების მაჟორიტარულ წესს იყენებენ, საქართველოსთვის ეს მიუღებელი ყოფილა, არც გერმანული გამოგვადგება თურმე. ამას წინათ, დიდი მონდომებით და ყურადღებით ვუსმენდი ერთ-ერთ ტელეარხზე ბატონების დავით უსუფაშვილისა და ირაკლი კობახიძის დებატებს არჩევნების გერმანული მოდელის შესახებ, მაგრამ ვერაფერი გავიგე. მე რას გავიგებდი, როდესაც თავადაც ვერ გააგებინეს ერთმანეთს!

მე ერთი რამ მიკვირს, ნეტავ, იმათ კი იციან, რატომ მოუცდენიათ ხალხი, რატომ ათენებენ ყვირილ-წიოკობაში ყოველ დღეს და რატომ ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ხალხი ჩართონ ამ მხოლოდ ათიოდე კაცისთვის „სასარგებლო ღონისძიებაში.“ ნუთუ არის ვინმე ისეთი, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ გაუგია, რომელიც ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარა, მთავრობაში მოსვლა რომ უნდათ, ან რატომ უნდათ ოპოზიციის ბელადებს?

ახლა დგანან და ივანიშვილს ემუქრებიან! რაც შეიძლება მეტი ხალხის ბრბოდ ქცევა უნდათ, იციან ბრბოს დაუნდობლობა და სისასტიკე საით და როგორ მიმართონ.

სხვათა შორის, დიდი ფიქრის შემდეგ, მეც ვხვდები, ივანიშვილი რომ დამნაშავეა: ერთი მითხრას, რა გაუკეთებია ქვეყნისთვის?უნიკალური ხეების გადმორგვა-გადარგვა, მათი ერთად თავმოყრა, მოვლა და დაცვა კარგი საქმეა, მაგრამ, რატომ თავის დროზე არ დაუნიშნა, ხალხისთვის თავშეწირულ ოპოზიციის საყოველთაოდ ცნობილ ლიდერებს, ყოველთვიურად ათას-ათასი დოლარი მაინც?! ვის გაახსენდებოდა მაშინ არჩევნები და მისი წეს-კანონი. ვიქნებოდით წყნარად. აი, ვინ არის ივანიშვილი: ფულზე დახარბებული ინტრიგანი, პროვოკატორი. მარტო მას უნდა რომ ჰქონდეს სახელი და სიმდიდრე!

ეჰ, ძვირფასო ჩემო მკითხველო, ხალხი გასამდიდრებლად სად არ მიეხეტება, რას არ კადრულობს. მდიდარი ივანიშვილი კი საქართველოში ჩამოვიდა, ქვეყანას, მამულს (რომელიც, სხვათა შორის, ჩვენიც არის!) იქნებ რამე ვარგოო. ვის არ ეხმარებოდა, ძველ თუ ახალ მთავრობას, — ჰა, დატრიალდით, იქნებ ქვეყანა ფეხზე დავაყენოთო. აი, დატრიალდნენ კიდეც... მერე, თავად მოსინჯა საჭის მართვა... ვერ შეძლო, ურთულესია (შეუძლებელი!) შენს ხალხში სიკეთის თესვა.

ვზივარ, ვფიქრობ და ის მახსენდება, ილია ჭავჭავაძესაც რომ ემუქრებოდნენ (გლეხებიო, ამბობენ!) თურმე, სასმელი წყალი რატომ გადაგვიკეტაო... რატომ გადაგვიკეტე სიცოცხლის წყალი, ბატონო ბიძინა, რატომ... გაიგებს ოდესმე ამას ქართველი ხალხი? მადლი ასე ადვილად არ დაიკარგება, მადლი ღვთის სინათლეში ცოცხლობს მუდამ, მაგრამ რამდენი ტყვია გულშიც და ზურგშიც ხვდება მადლის მქნელს! ჩვენც გამოგვიცდია და ვიცით სიმწარეც და სიტკბოც მამულისა!

გულნარა სტურუა

თამარ ჩერგოლეიშვილი:
ეს უგზო-უკვლო აფერისტი არ ჩერდება!..

ვფიქრობ, ამას გადაწყვეტს ქართველი ხალხი — ასე აფასებს საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკური პარტია „გირჩის“ ინიციტივას. საუბარია მთავრობის შეცვლის შემთხვევაში „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების ძალოვანი სტრუქტურებიდან გამოთიშვაზე.

„ხატია დეკანოიძე, რომლიც იყო უკრაინის ნაციონალური პოლიციის შემქმნელი, ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში და რომელი ნიშნით უნდა ჩაეკეტოს გზა მთავრობაში იმის გამო, რომ „ნაციონალურ მოძრაობაშია“? ეს არის ფანტომებით ვაჭრობა. ახალაია მოვა, მერაბიშვილი მოვა — რა სისულელეა. დეკანოიძეს დღემდე უკრაინა ტაშს უკრავს. უფრო მეტი გამოცდილების ადამიანი ვის ჰყავს. ქართველი ხალხი როგორც გადაწყვეტს ისე იქნება საბოლოოდ. პოლიტიკოსები მათ ზურგს უკან ვეღარ გაინაწილებენ საქართველოს. დამთავრდა ეს ეპოქა. ყველგან მეტი დემოკრატია შემოდის და ივანიშვილი ამას რომ ეწინააღმდეგება, ამიტომ აქვს პრობლემები. შევწყვიტოთ წინასწარ განაწილება. ივანიშვილის დასრულებამდე ჯერ დიდი ძალისხმევაა. იმაზე კი არ უნდა ვიფიქროთ, სად ვიქნებით ჩვენ ივანიშვილის დასრულების შემდეგ, არამედ იმაზე უნდა ვიფიქროთ, სად იქნება ჩვენი ქვეყანა. ისევ ჩვენს თავზე ვლაპარაკობთ? ჩემთვის, როგორც ქართული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი შემქმნელისთვის მთავარია, ჩემი ქვეყანა სად იქნება. ოღონდ ესენი წავიდნენ, მაგრამ მერე ქართველი ხალხი გადაწყვეტს“...

„აწი უნდა შევეგუოთ, რომ პოლიტიკოსები ხალხის ზურგს უკან ვეღარაფერს ვეღარ გაინაწილებენ საქართველოში, დამთავრდა ეგ ეპოქა, 21-ე საუკუნეში სულ უფრო დემოკრატიული პროცესები მიდის და ივანიშვილი ამის პირისპირ რომ მიდის, ამიტომ არის ეს პრობლემები ჩვენს ქვეყანაში. შევწყვიტოთ წინასწარ მოუკლავი დათვის ტყავის გაყოფა. წინასწარ იმის განაწილება, რაც ჯერ ხელში არ გვიჭირავს, ივანიშვილი ახლოს არის დასრულებასთან, მაგრამ ჯერ კიდევ რთული ბრძოლა გველის წინ... ოღონდ ესენი წავიდნენ და მე ვეთანხმები ზურაბ ჯაფარიძეს, ვინც უნდა ის მოვიდეს, მერე უკვე ხალხი გადაწყვეტს, ვის აირჩევს, მაგრამ რაც მთავარია, შეიქმნება პრეცედენტი, რომ ეს გათავხადებული ქართველების მოძულე ოლიგარქი ჩამოშორდეს ხელისუფლებას.“ — თქვა სააკაშვილმა ტელეკომპანია „ფორმულას“ ეთერში ჩართვისას.

*საქართველოს ექსპრეზიდენტის განცხადებას ჟურნალისტი **თამარ ჩერგოლეიშვილი** ამ რეპლიკით ეხმაურება: — „ეს უგზო-უკვლო აფერისტი არ ჩერდება“.*

სააკაშვილის ტელემოწოდება:
ყველა მხრიდან შეუტიეთ!

უკრაინაში გაქცეული მიხეილ სააკაშვილი საპროტესტო აქციების ტელეეთერებით მართვას აგრძელებს. ამჯერად მისი დებიუტი კეზერაშვილის ახალ ტელევიზია „ფორმულას“ ეთერში შედგა და საპროტესტო აქციის მონაწილეები კიდევ ერთხელ შეაგულიანა. ყოფილი პრეზიდენტი ამბობს, რომ შეტევა უნდა გაგრძელდეს მარჯვნიდან, მარცხნიდან, ზევიდან და ქვევიდან, რითიც მოსვენებას არ მისცემენ ბიძინა ივანიშვილს.

ცხინვალი ოკუპირებული ტერიტორიიდან ქართველი სასულიერო პირების გაძევებას გეგმავს!!!

„თავისუფლების, სინდისისა და რელიგიური ორგანიზაციების შესახებ კანონი სამხრეთ ოსეთში ღვთისმსახურებასა და სხვა რელიგიურ მოქმედებებს მხოლოდ იმ შემთხვევებში ითვალისწინებს, თუ რელიგიური ორგანიზაცია სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს მიერ არის დარეგისტრირებული, წინააღმდეგ შემთხვევაში არც ერთ რელიგიურ ჯგუფს, გაერთიანებასა თუ ორგანიზაციას უფლება არა აქვს, რესპუბლიკის ტერიტორიაზე იმოქმედოს. ეს კანონი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაზეც ვრცელდება, რომელიც სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე უკვე 11 წელია, უკანონოდ მოქმედებს, ამდენად, ლენინგორის (ახალგორის) რაიონში სასულიერო პირთა შესახებ შემიძლია, მხოლოდ გაკვირვება გამოვთქვა“, — განაცხადა დე ფაქტო პრეზიდენტის წარმომადგენელმა რელიგიის საკითხებში სონია ხუბაევამ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილისადმი ილია მეორის ამასწინანდელი მიმართვის კომენტირებისას.

ხუბაევას თქმით, „ლენინგორის რაიონი 2008 წლის აგვისტომდე ქართულ ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა, დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ კი სამხრეთ ოსეთის იურისდიქციაში გადავიდა და მთელი ამ პერიოდის განმავლობაში არსებობდა დედათა მონასტერი, სადაც ქართველი სასულიერო პირები ღვთისმსახურებას აღავლენდნენ“.

„არსებობენ მოწმეები იმისა, რაოდენ უხეშად ეპყრობიან სასულიერო პირები ჟურნალისტებსა და მოქალაქეებს, რომლებიც მათ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით აკითხავენ. ხშირია, მაგალითად, ასეთი ტიპის განცხადებები: „ეს ჩვენი ტერიტორიაა, არა ლენინგორი, არამედ ახალგორი“. ჩემი აზრით, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ქართველი სასულიერო პირების ყოფნა, რბილად რომ ვთქვათ, უცნაურია, ნონსენსია, შენს ტერიტორიაზე ღვთისმსახურებას აღავლენდნენ პირები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ ოსი ხალხის გენოციდში. თავად ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღოლი აკურთხებდა ქართულ ჯარს 1990-იან და 2008 წლებში ცხინვალზე შეტევამდე. იგი გამოდიოდა მოწოდებებით, „საქართველოში საკონსტიტუციო წესრიგის დამყარების შესახებ“, ანუ პირადად იძლეოდა კურთხევას ოსი ხალხის გენოციდზე. მართლმადიდებლები ომისკენ არ უნდა მოუწოდებდნენ, თუმცა ილია მეორე როგორც ადრე იყო ქართული ფაშიზმის იდეოლოგი, ასეთად რჩება დღესაც. წლიდან წლამდე გვესმის მისი ფაშისტური გამონათქვამები, ამიტომაც, ვფიქრობ, ჩვენს ტერიტორიაზე ფაშიზმს არ უნდა ვეგუებოდეთ და არ უნდა ვაძლევდეთ მას უფლებას, ჩვენს საქმეებში ჩაერიოს და ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობას მითითებებს აძლევდეს, ისევე, როგორც მის მიერ აქ მოგზავნილი სასულიერო პირები.

2 წლის წინათ გაზეთ „ასავალ-დასავალში“ გავეცანი ილია მეორის ინტერვიუს სახელწოდებით „ზვიად გამსახურდიას „საქართველოს სულიერი მისია“ სკოლებში უნდა ისწავლებოდეს“. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ილია მეორე არა მარტი მხარს უჭერდა გამსახურდიას და მის იდეოლოგიას, არამედ ცდილობდა, გამსახურდიას იდეები ყველა შესაძლო გზით განეხორციელებინა. **ილია მეორე ჩადენილს არ ნანობს და გამოდის მოწოდებებით, გამსახურდიას ნაციონალისტური იდეოლოგია „საქართველო ქართველებისთვის“ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ისწავლებოდეს“,** — განაცხადა ხუბაევამ.

მისივე თქმით, სასულიერო პირი, რომელიც ახალგორის ოკუპირებულ რაიონში მსახურობს — ნიქოზისა და ცხინვალის ეპისკოპოსი ლოცვისას ილია მეორეს ახსენებს, „ლოცულობს საქართველოს პატრიარქის კეთილდღეობისათვის და, შესაბამისად, მისი მოქმედება სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგაა მიმართული“.

„უმოქმედობა ოსური მხრიდან, ჩემი აზრით, კიდევ უფრო აქეზებს პატრიარქსა და ქართველ ღვთისმსახურებს, რომლებიც სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე თავს სრულიად კანონიერად გრძნობენ. ეს უნდა დასრულდეს, ისინი უნდა მივახვედროთ, ვინაა ამ სახლში პატრონი“, — განაცხადა ხუბაევამ და საკითხის გადაჭრის რამდენიმე ვარიანტი ჩამოაყალიბა: **„თუ ადამიანი სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის კანონმდებლობას და საზღვრებს არღვევს, იგი ჩვენი კანონმდებლობის მიხედვით უნდა ისჯებოდეს. რესპუბლიკის სამართალდამცველ ორგანოებს უფლება აქვთ, მივიდნენ და მოითხოვონ დოკუმენტი იმის შესახებ, რა საფუძველზე იმყოფებიან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები მოსაზღვრე სახელმწიფოს ტერიტორიაზე და თუ მათ ასეთ დოკუმენტს ვერ წარუდგენენ, მათ უნდა შესთავაზონ რეგისტრაციის გავლა სამხრეთ ოსეთის იუსტიციის სამინისტროში. ასევე შეიძლება, შევთავაზოთ ალანიის ეპარქიის შემადგენლობაში შესვლა, ან თუ ეს არ აწყობთ, ლოგიკური იქნება, მივმართოთ წინადადებით სამხრეთ ოსეთის დატოვებისა და იმ ქვეყანაში გადასვლის შესახებ, რომელსაც ისინი ემსახურებიან. მე მხოლოდ წინადადებების წარდგენა შემიძლია, მაგრამ მათი რეალიზება სამართალდამცველი ორგანოების კომპეტენციაა, ეს რომ ჩემს კომპეტენციაში შედიოდეს, უკვე დიდი ხანია, მიღებული მექნებოდა ზომები, რომლებიც უნდა მიიღებოდეს მტრული ორგანიზაციებისა და ჯგუფების მიმართ“.**

ცნობისთვის: ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტ ისაიას წლების განმავლობაში გადაადგილების უფლება შეზღუდული ჰქონდა. იმყოფებოდა რა ოკუპირებულ ტერიტორიაზე, უარს ამბობდა დე ფაქტო საზღვარი გადმოეკვეთა, რადგან შემდგომ უკან დაბრუნებისა და ლარგვისის, იკოთისა და წირქოლის (სადაც მე-9 საუკუნის ეკლესიაა) მონასტრებში მღვდელმსახურების განხორციელების შესაძლებლობას მას უკვე აღარ მისცემდნენ.

2014 წლის მაისიდან დაახლოებით 2 წელზე მეტი ოკუპირებული რაიონიდან დანარჩენ საქართველოში წამოსვლას ვერ ახერხებდა. შემდეგ ეს საკითხი მოგვარდა და მან რამდენჯერმე თბილისში ჩამოსვლაც შესძლო. რუსეთი, რომელიც მის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე ეფექტურ კონტროლს ახორციელებს, ოფიციალურად აღიარებს ამ ტერიტორიებზე ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციას, ისევე როგორც რუსეთის საპატრიარქო.

თუმცა ეს აღიარება პირობითია, ოკუპირებულ აფხაზეთში ქართული ეკლესიების დაზიანებისა და გადაკეთების შემთხვევები დაფიქსირდა, ცხინვალის შემთხვევაში კი გაყალბებული ისტორიით ცდილობენ, მშვიდობიან ქართველ მღვდელმსახურებს ადგილზე მსახურების უფლება მოუსპონ.

ნატოს მტერი არა რუსეთი ან ჩინეთი, არამედ ტერორიზმია

საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი ნატოს ძირითად საფრთხედ რუსეთს ან ჩინეთს არ მიიჩნევს. ამის შესახებ მან ნატოს გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

„ნატო კოლექტიური თავდაცვის ორგანიზაციაა, მაგრამ ვისგან ვიცავთ თავს? ვინ არის ჩვენი საერთო მტერი? ეს სტრატეგიული საკითხია და აუცილებლად უნდა დაზუსტდეს. ხანდახან მესმის, რომ ზოგიერთები რუსეთს ან ჩინეთს ჩვენს მტერს უწოდებენ. არის თუ არა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიზანი, რომ რუსეთს ან ჩინეთს მტერი ვუწოდოთ? მე ასე არ ვთვლი. ნატოს საერთო მტერი ტერორიზმია, რომელმაც ჩვენი ქვეყნები დააზარალა. ფრანგი სამხედროები ტერორისტულ დაჯგუფებებს ებრძვიან და ერთ-ერთ ასეთ ბრძოლას ემსხვერპლა ჩვენი 13 ჯარისკაცი“, - განაცხადა მაკრონმა. მან ასევე მზადყოფნა გამოთქვა, რომ რუსეთთან ახალი დიალოგი დაიწყოს. „საჭიროა ნათელი, ძლიერი და მომთხოვნი დიალოგი რუსეთთან, მაგრამ ამ დიალოგში სისუსტის, ან მიამიტობის არანაირი გამოვლენა არ იქნება“, — აღნიშნა საფრანგეთის პრეზიდენტმა.

26 ნოემბერს მალიში ვერტმფრენის ჩამოვარდნას 13 ფრანგი ჯარისკაცი ემსხვერპლა. მოგვიანებით თავდასხმაზე პასუხისმგებლობა ტერორისტულმა დაჯგუფებამ „ისლამურმა სახელმწიფომ“ აიღო.

მანამდე ემანუელ მაკრონმა განაცხადა, რომ ნატოს ტვინი მკვდარია. ეს განცხადება ევროპელმა და ამერიკელმა პოლიტიკოსებმა დაგმეს, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰეიკო მაასმა კი ნატოს პოლიტიკური ხედვის გასაძლიერებლად ექსპერტთა ჯგუფის შექმნა შესთავაზა.

აშშ-მა ნატოს ბიუჯეტში შესატანი თანხა შეამცირა

აშშ-ის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ნატოს ბიუჯეტში თავისი შენატანი 22%-დან 16%-მდე შეამციროს. ნატოს წევრმა ქვეყნებმა მხარი დაუჭრეს ხარჯების განაწილების ახალ ფორმულას. მანამდე აშშ ალიანსის პირდაპირ თავდაცვით ბიუჯეტს 22,1%-ით უზრუნველყოფდა, რამაც 2019 წელს 2,5 მილიარდი დოლარი შეადგინა. იმავდროულად, გერმანიას ბიუჯეტის 14,8% შეჰქონდა.

ახალი შეთანხმების თანახმად, აშშ და გერმანია საერთო ბიუჯეტში თითოეული 16,35%-ს შეიტანენ. ნატოს წევრი ევროპული ქვეყნების უმრავლესობა ალიანსის ბიუჯეტში შენატანის გაზრდას დათანხმდა. ამასთან, საფრანგეთმა გადაწყვიტა ძველი — 10,5% შეენარჩუნებინა.

აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი თანმიმდევრულად აკრიტიკებს ნატოს წევრებს, მისი აზრით, ალიანსის შენახვისთვის არასაკმარისი წვლილისთვის. 2018 წელს ის ნატოს ლიდერებს სთავაზობდა, რომ მათ ალიანსის შესანახად მშპ-ს 4% გადაეხადათ, ნაცვლად 2%-ისა, რაც ახლა შეთანხმებულია, როგორც 2024 წლის მიზანი.

ოღონდ საქართველოში არ ისწავლონ და...

რუსეთი გალელ სტუდენტებს სამ უმაღლეს სასწავლებელში უფასოდ სწავლას, სტიპენდიასა და უფასო საცხოვრებელს სთავაზობს. ამ ინიციატივით ოკუპირებული რაიონის სკოლების დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებს 26 ნოემბერს „ევრაზიის სახალხო კავშირის“ ორგანიზებით გამართულ შეხვედრაზე მოსკოვის, პეტერბურგისა და როსტოვის უნივერსიტეტების წარმომადგენლებმა მიმართეს.

როგორც ადგილობრივმა მოსწავლეებმა **„აძცენტს“** უამბეს, აუცილებელ პირობად რუსული ენის ცოდნა დასახელდა, შესაბამისად, მსურველ აბიტურიენტებს რუსულის გამოცდის ჩაბარება მოუწევთ, სამედიცინო ფაკულტეტზე ჩასარიცხად კი — ქიმიის გამოცდისაც.

„შეხვედრაზე ყველა ადგილობრივი სკოლის მე-11 კლასები იყვნენ წარმოდგენილები. ბავშვები უსმენდნენ, თუმცა ბევრმა ვერაფერი გაიგო, რადგან რუსული არ იციან. ერთ-ერთმა მოსწავლემ რუსეთში სწავლის სურვილი გამოთქვა, თუმცა ხელისშემშლელ ფაქტორად საბუთი დაასახელა: არანაირი საბუთი არ მაქვს და როგორ წავიდეო? რუსული უნივერსიტეტის წარმომადგენელმა კი უპასუხა, ბინადრობის უფლება საკმარისიაო“, — განაცხადა ერთ-ერთი სკოლის მასწავლებელმა.

სოხუმის დე ფაქტო რეჟიმი გალელი მოსწავლეების ქართულ უმაღლეს სასწავლებელში გადინების შესაჩერებლად ყველა გზას მიმართავს. გალის დე ფაქტო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი თემურ ნადარაია ამასწინათ სტუდენტებს ე.წ. ბინადრობის უფლების ჩამორთმევით დაემუქრა, რაც მათთვის, ფაქტობრივად, აფხაზეთში შესვლის უფლების ჩამორთმევას ნიშნავს.

აღსანიშნავია, რომ გალელებისთვის უფასო ადგილები სოხუმის უნივერსიტეტშიც იყო გამოყოფილი, მაგრამ დე ფაქტო რეჟიმის ამ მცდელობამ შედეგი ვერ გამოიღო.

ცნობისთვის, 2005 წლიდან დღემდე გალის ომამდელი საზღვრებიდან ერთიანი ეროვნული გამოცდებით ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში 1700-მდე (1616) მოსწავლე ჩაირიცხა.

სუდანელებმაც გვაჯობეს!..

სუდანის გარდამავალმა მთავრობამ ყოფილი მმართველი პარტია „ეროვნული კონგრესი“ აკრძალა.

გარდამავალი მთავრობის იუსტიციის მინისტრის ნასრედინ აბდელბარის განცხადებით, კანონი „ომარ ალ-ბაშირის რეჟიმის დემონტაჟის შესახებ“ მისი პარტიის ქონებისკონფისკაციასაც ითვალისწინებს.

პრემიერ-მინისტრის აბდალა ჰამდუკის განცხადებით, კანონის მიზანი არა ყოფილი მმართველი გუნდის მიმართ შურისძიება, არამედ სუდანელი ხალხის ღირსების აღდგენაა. სუდანის პროფკავშირების გაერთიანებამ, რომელიც მიმდინარე წლის აპრილში მომხდარი საპროტესტო აქციების ერთ-ერთი კოორდინატორი იყო, ყოფილი მმართველი პარტიის დაშლას „დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის გზაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი უწოდა“.

გარდა ამისა, სუდანის ახალმა ხელისუფლებამ გააუქმა ალ-ბაშირის მიერ მიღებული კანონი საზოგადოებრივი წესრიგის შესახებ, რომელიც ქალების უფლებებს ზღუდავდა და მათ შარიათის ნორმების მიხედვით ჩაცმას აიძულებდა. სუდანში პრეზიდენტის ომარ ალ-ბაშირის საწინააღმდეგო მასობრივი საპროტესტო აქციები 6-7 აპრილიდან დაიწყო. 11 აპრილს სუდანის არმიამ ქვეყანაში სამხედრო გადატრიალება მოაწყო და 30-წლიანი მმართველობის შემდეგ ალ-ბაშირი დააკავა. მას შემდეგ სუდანს სამხედრო საბჭო მართავდა.

ტერორისტებს დრონებით ამარაგებენ

კოპენჰაგენის სასამართლომ ტერორისტული ორგანიზაცია„ისლამური სახელმწიფოს“ (დაეში) სახელით დრონების შესყიდვისთვის სამი ადამიანი დამნაშავედ ცნო. დრონებს სირიასა და ერაყში იყენებდნენ.

სასამართლომ განაცხადა, რომ მსჯავრდებულები, რომელთაგან ორი დანიის მოქალაქეა, დრონებისთვის საჭირო სხვადასხვა მოწყობილობებს დანიაში 2013-დან 2017 წლამდე ყიდულობდნენ. მოქალაქეები ტერორიზმის ბრალდებით დააკავეს.

იაპონიის ყოფილი პრემიერი გარდაიცვალა

იაპონიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი იასუჰირო ნაკასონე 101 წლის ასაკში გარდაიცვალა. ნაკასონე იაპონიას 1982-1987 წლებში მართავდა. მას დიდი წვლილი მიუძღვის მსოფლიოს მასშტაბით იაპონიის პოპულარიზაციაში. მას ძალიან ახლო და კარგი ურთიერთობა ჰქონდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან რონალდ რეიგანთან.

იასუჰირო ნაკასონე 1918 წლის 27 მაისს ქალაქ ტაკასაკიში დაიბადა. ის იმ მოქმედი და ყოფილი მაღალჩინოსნების სიაში იყო, რომლებმაც ყველაზე დიდი ხანი იცოცხლეს.



რამდენი მილიარდით დაგვეხმარა აშშ?

$4 348 400 000 – აშშ-ის ფინანსური დახმარება საქართველოს 28 წლის განმავლობაში

$4 348 400 000 (ოთხი მილიარდ სამას ორმოცდარვა მილიონ ოთხასი ათასი) — ეს არის ფინანსური დახმარების ოდენობა, რომელიც საქართველომ აშშ-ისგან 28 წლის განმავლობაში მიიღო.

1992-დან 2020 წლის ჩათვლით, დახმარების სახით სხვადასხვა მიზნისთვის გამოყოფილი ფინანსების შესახებ „კონგრესის კვლევითი სამსახურის“ ანგარიშშია საუბარი.

CRS-ის მონაცემებით, ევროპისა და ევრაზიის ქვეყნებს შორის საქართველო ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო და სამხედრო დახმარების მიმღები წამყვანი ქვეყანაა. 1992-2000 წლებში აშშ-ის მთავრობამ საქართველოსთვის ჯამში $860 მილიონზე მეტი გამოყო. ეს წელიწადში, საშუალოდ, $96 მილიონია.

დეკადის ბოლო ნაწილში შეერთებულმა შტატებმა საქართველოს ფინანსური დახმარება გაზარდა — საზღვრისა და საზღვაო დაცვის გაუმჯობესებისთვის; ამაში ასევე შევიდა სანაპირო დაცვის გაძლიერება და ტრანსნაციონალური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისთვის საჭირო თანხები.

2000-იან წლებში ევროპასა და ევრაზიაში ერთ სულ მოსახლზე საქართველო შეერთებული შტატების დახმარების მიმღები ყველაზე მსხვილი ქვეყანა გახდა. 2001-2007 წლების განმავლობაში დახმარების ჯამმა $945 მილიონს გადააჭარბა. წელიწადში საშუალოდ, $135 მილიონი. 2005 წელს „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციამ“ საქართველოს $295 მილიონი ღირებულების გრანტი გამოუყო. ხუთწლიანი გრანტი გზების, მილსადენების, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და აგრობიზნესის განვითარებისთვის იყო გამიზნული.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ, შეერთებულმა შტატებმა საქართველოსთვის სამხედრო მიზნებისთვის განკუთვნილი ფინანსური დახმარება მნიშვნელოვნად გაზარდა. პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციამ, საქართველო, იემენსა და ფილიპინებთან ერთად, ტერორიზმთან ბრძოლის მეორე ეტაპის ნაწილად განიხილა. ამის შემდეგ დაიწყო საქართველოში წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა.

2008 წელს, რუსეთის შეჭრის შემდეგ, შეერთებულმა შტატებმა საქართველოსადმი დახმარება არსებითად გაზარდა. ამერიკის მთავრობამ დაუყოვნებლივ გამოყო $38 მილიონი ჰუმანიტარული და გადაუდებელი დახმარების მიზნებისთვის. 2008 წლის სექტემბერში მაშინდელმა სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა განცხადა, რომ საქართველოსთვის საერთო დახმარების პაკეტის ღირებულება მინიმუმ 1 მილიარდი დოლარი იყო.

ჯამში, 2008-2009 ფისკალური წლის განმავლობაში, შეერთებული შტატების დახმარებამ $1.4 მილიარდს მიაღწია. ამ თანხაში შევიდა $250 მილიონი პირდაპირი საბიუჯეტო დახმარება და $100 მილიონი, რომელიც „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის“ ფონდს დაემატა. ამით „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის“ ხუთწლიანმა გრანტმა $395 მილიონს მიაღწია.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, საქართველო კვლავ რჩება შეერთებული შტატების დახმარების ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ მიმღებად. 2010-2017 საბიუჯეტო წლების განმავლობაში, არასამხედრო მიზნებისთვის ფინანსური დახმარება წლიურად, საშუალოდ, $60 მილიონი იყო. გარდა ამისა, 2014-2019 წლებში, „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციამ“ საქართველოს 5-წლიანი გრანტი, $140 მილიონის ოდენობით გამოუყო. გრანტი ძირითადად, საგანმანათლებლო მიზნებისთვის იყო განკუთვნილი.

2018 წელს საქართველომ ამერიკისგან არასამხედრო მიზნებისთვის $70.8 მილიონი მიიღო.

2019 წელს ამერიკის კონგრესმა არასამხედრო მიზნებისთვის, საქართველოს 489.8 მილიონი გამოუყო.

2020 ფისკალური წლისთვის, ასევე არასამხედრო მიზნებისთვის, პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა საქართველოსთვის $42.4 მილიონი მოითხოვა. წარმომადგენელთა პალატის და სენატის საფინანსო კომიტეტმა რეკომენდებულ თანხად $89.8 მილიონი, გაორმაგებული დახმარება განსაზღვრა.

ქართლოს შარაშენიძე,
„ამერიკის ხმა“

საქართველო საფრანგეთისგან 35 მლნ ევროს მიიღებს

ფინანსთა მინისტრმა ივანე მაჭავარიანმა, საქართველოში საფრანგეთის ელჩმა, დიეგო კოლასმა და საფრანგეთის განვითარების სააგენტოს სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისის ხელმძღვანელმა, გაელე ასაიაგმა საქართველოსა და საფრანგეთის განვითარების სააგენტოს შორის შეთანხმებას მოაწერეს ხელი.

დოკუმენტის საფუძველზე სოციალური კეთილდღეობის მიმართულებით დაგეგმილი რეფორმების მხარდასაჭერად, საქართველო 35 მილიონი ევროს ოდენობის ფინანსურ რესურსს მიიღებს.

საფრანგეთის განვითარების სააგენტო საქართველოსთან სოციალურ სფეროში სამწლიანი (2018-2020) პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობს, რომელიც მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: სოციალური მხარდაჭერისა და სოლიდარობის სისტემის განვითარება, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ადეკვატური მომსახურების გაწევა, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის სისტემის უზრუნველყოფა, იძულებით გადაადგილებულ პირთათვის გამოყოფილი რესურსების ოპტიმიზაცია, რომელიც გულისხმობს ავარიული შენობის დახურვას, საჭიროების მქონე ოჯახის შესაბამის საცხოვრებელში განთავსებას და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელებას.

კარასინი თბილისში რუსული ენისა და კულტურის ცენტრის გახსნას გეგმავს

რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელმა, გრიგორი კარასინმა რუსულ მედიასთან განაცხადა, რომ დეკემბერში თბილისში რუსული ენისა და კულტურის ცენტრი გაიხსნება. კარასინის თქმით, ეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

კარასინმა ეს კომენტარი ჟენევაში ზურაბ აბაშიძესთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა: **„ვიმედოვნებთ, კულტურული ხასიათის ღონისძიებები რუსების მონაწილეობით, ინციდენტების გარეშე ჩაივლის“,** — განაცხადა კარასინმა.

გიორგი კეკელიძე: საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში რუსული კულტურისა და ენის ცენტრი არ გაიხსნება!!!

— ერთხელ ორი თვის და ერთხელაც ზაფხულის დასაწყისში, შემხვდა რუსეთიდან ჩამოსული კულტურული უწყების რამდენიმე წარმომადგენელი და შემომთავაზეს, ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაგვეხსნა რუსული ენისა და კულტურის ცენტრი, რადგან უკვე გვაქვს ასეთი ანგლო-ამერიკული, ფრანგული, გერმანული, იტალიური, ებრაული ცენტრები.

მე უარით გავისტუმრე. თუ ბატონი კარასინი ისევ ეროვნულ ბიბლიოთეკას გულისხმობს, რადგან მსოფლიო პრაქტიკა სწორედ ასეთ სივრცეში ითვალისწინებს კულტურული ცენტრების გახსნას, მაშინ მიიღოს საჯარო უარიც იმ ქვეყნის ბიბლიოთეკისგან, რომლის ნაწილიც გუშინ დაიპყრეს და დღეს საუკეთესო შვილებს გვტაცებენ. დავძენ, რომ ეთნოკულტურული ფაშიზმისგან ძალიან შორს ვართ.

ისეთივე წესების დაცვით ვინახავთ რუსულენოვანი წიგნების დიდ ფონდს, როგორც სხვა დანარჩენს. მე კი ახლა საფრანგეთში ვარ, სადაც სწორედ ამგვარი ქართული ცენტრის გახსნაზე ვმუშაობთ, — განაცხადა გიორგი კეკელიძემ.

საფეხბურთო მოზაიკა

ბელგიურმა „გენტმა“ ევროპა ლიგის პლეი-ოფში თამაში ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე ოფიციალურად გაიფორმა. ბელგიელები მეხუთე ტურში „სენტ ეტიენს“ სტუმრად უგოლოდ დაუზავდნენ და ამ შედეგით ჯგუფიდან გასვლა გაინაღდეს.

გიორგი ქვილითაიამ ფრანგული გუნდის წინააღმდეგ ბოლო 19 წუთი ითამაშა, როდესაც ბრძოლაში რომან იარემჩუკის ნაცვლად ჩაერთო.

ვთქვათ ისიც, რომ ტრავმის გამო ჯგუფური ეტაპის განაცხადში გიორგი ჩაკვეტაძე არ ყოფილა, მაგრამ ზამთარში განაცხადის განახლება შესაძლებელია და წესით იეს თორუპმა გიორგი პლეი-ოფებისთვის ევროპა ლიგის განაცხადში უნდა შეიყვანოს.

ცნობისთვის, „გენტს“ 9 ქულა აქვს და ამ დროისთვის ჯგუფის ლიდერია, თუმცა, გასარკვევია 1/16 ფინალში პირველი თუ მეორე ადგილით გააღწევს.

ესპანური „სარაგოსას“ ქართველი ფეხბურთელი გიორგი პაპუნაშვილი, შესაძლოა, MLS-ში გადავიდეს. იქაური მედიის ინფორმაციით, 24 წლის ჩვენებურით „ნიუ-იორკ სიტია“ დაინტერესებული და იანვარში ტრანსფერის გაჩარხვას გეგმავს.

ამ ეტაპზე შესაძლო გარიგების ფინანსური დეტალები არ გახმაურებულა, მაგრამ გიორგის ესპანურ გუნდთან კონტრაქტი 2022 წლის ზაფხულამდე აკავშირებს. არაგონელებმა ამერიკული ინტერესის შესახებაც იციან, თუმცა, ჯერჯერობით ოფიციალური შეთავაზება არ გაკეთებულა.

„ნიუ-იორკ სიტის“ წარუმატებელი სეზონი ჰქონდა, მაგრამ ახლო წარსულში ამ გუნდში ისეთი ლეგენდები თამაშობდნენ, როგორებიც ანდრეა პირლო და დავიდ ვილა არიან.

რაც შეეხება პაპუნაშვილს, „სარაგოსაში“ 2017 წელს გადავიდა და 55 თამაშში 11 გოლი აქვს გატანილი. მაგრამ მიმდინარე სეზონში გიორგი იშვიათად ხვდება არაგონელთა ძირითად შემადგენლობაში და უმეტესად ცვლილებებზე უწევს თამაში. აქვე გეტყვით, რომ MLS-ში ორი ქართველი – გურამ კაშია და ვაკო ყაზაიშვილი უკვე თამაშობენ.

„ლივერპულის ყოფილმა კაპიტანმა, ამჟამად კი შოტლანდიური „რეინჯერსის“ მთავარმა მწვრთნელმა სტივენ ჯერარდმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ ლიონელ მესის დიდი პატივისცემის მიუხედავად, წლეულს „ოქროს ბურთს“ მერსისაიდელთა ჰოლანდიელი მცველი ვირჯილ ვან დეიკი იმსახურებს.

„დიახ, მე ლიონელ მესის დიდი გულშემატკივარი ვარ. ძალიან მომწონს ეს ფეხბურთელი. მას უკვე უხერხულად ბევრი გოლი და შედეგიანი გადაცემა მოუგროვდა, მაგრამ თუ სეზონის განმავლობაში ერთი მოთამაშის სტაბილურობას გავითვალისწინებთ, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაშიც გაიმარჯვა და ყოველ მატჩში შესანიშნავი იყო, ეს ნიშნავს, რომ 2 დეკემბერს „ოქროს ბურთი“ ვან დეიკმა უნდა მოიგოს.“ – ციტირებს ჯერარდის სიტყვებს Goal.

28 ნოემბერს მანჩესტერში ასოციაციის მწვრთნელთა ლიგის (LMA) საგანგებო ვახშამი გაიმართა, რომლის განმავლობაშიც „მანჩესტერ სიტისა“ და „ლივერპულის“ მთავარი მწვრთნელები ხოსეპ გვარდიოლა და იურგენ კლოპი წარმატებული მუშაობისთვის დიდების დარბაზში შეიყვანეს.

ორივე სპეციალისტს საგანგებო ვერცხლის სასალათეები ინგლისის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გარეთ საუთგეიტმა და დიდების დარბაზის წევრმა სერ ალექს ფერგიუსონმა გადასცეს.

გიორგი ზოთაძე

შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში კლოპის ხელმძღვანელობით „ლივერპულმა“ ჩემპიონთა ლიგაში გაიმარჯვა, გვარდიოლამ კი შინაური თრებელი შეასრულა: მოიგო პრემიერლიგა, ასოციაციისა და ლიგის თასები. „ქალაქელები“ ინგლისის პირველი კაცთა გუნდი გახდნენ, რომელმაც ერთ სეზონში სამივე ტიტული მოიგო.

◎ კალათბურთი

LeBron James
33,008 Points

ლებრონი მეოთხეა

ლებრონ ჯეიმსი ნბა-ს ისტორიაში მეოთხე კალათბურთელი გახდა, რომელიც 33 000-ქულიან ზღვარს გადასცდა. „მეფემ“ ისტორიული შედეგი „ნიუ ორლეანთან“ (114:110) მოგებულ მატჩში დააფიქსირა, როცა მეტოქეს 29 ქულა ჩაუგდო.

ლებრონს 33 008 ქულა აქვს აქტივში, რაც 1216 შეხვედრაში მოახერხა.

ნბა-ს საუკეთესო მექულეები: ქარიმ აბდულ-ჯაბარი – 38 387, კარლ მელოუნი – 36 928, კობი ბრაიანტი – 33 643, ლებრონ ჯეიმსი – 33 008, მაიკლ ჯორდანი – 32 292.

◎ ოლიმპიზმი

ხუთი რგოლი ცისფერ ეკრანებზე

ტოკიოს ზაფხულის ოლიმპიური თამაშები 2020 წლის უმთავრესი სპორტული მოვლენა იქნება, რომელთა თვალყურის დევნებას მილიარდობით ადამიანი შეძლებს დედამიწის სხვადასხვა კუთხეში. ხოლო, როცა საქმე ტელეტრანსლაციების მოწყობას ეხება, იქ აუცილებლად ტექნიკური და, რაც უმნიშვნელოვანესია, ფინანსური საკითხებიც წამოიჭრება...

ოლიმპიური შეჯიბრებიდან პირველი სატელევიზიო გადაცემები 1936 წელს, ბერლინში მოეწყო, ოღონდ მათი ხილვა მხოლოდ გერმანიის დედაქალაქისა და შემოგარენის კინოთეატრების მცირერიცხოვან მაყურებლებს შეეძლოთ.

ტრანსლაციის უფლების გაყიდვის პირველი მცდელობა კი 1948 წელს ლონდონში იყო, როცა ბრიტანული სამაუწყებლო კომპანია BBC-გან ორგანიზატორებმა 3000 დოლარი მიიღეს(!) ამ ჯერზე სპორტული პერიპეტიების ნახვა უკვე 50 ათასმა კაცმა შეძლო – აქაც მხოლოდ დედაქალაქსა და მის შემოგარენში. ტელეგადაცემებში რეკლამის მოზიდვის მცდელობა კი ისე ჩაფლავდა, რომ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ფულის დაბრუნებაც კი მოუწია.

გლობალური „ტელეგარღვევა“ 1956 წელს, იტალიის საკურორტო დაბა კორტინა დ“ამპეცოში გამართულ ოლიმპიურ თამაშებზე მოხდა, საიდანაც მოწყობილ პირდაპირ ტრანსლაციებს უკვე მთელმა მსოფლიომ უყურა, თუმცა ერთი „იაღლიში“ მაინც მოხდა: თამაშების გახსნის ცერემონიაზე, ცეცხლის ტრადიციული ესტაფეტის დროს, მისმა ბოლო მონაწილემ სატელევიზიო კაბელს ფეხი წამოკრა და... ჩირაღდანი ხელიდან გაუვარდა. ამის შემდეგ სოკ-ის ერთერთმა მაღალჩინოსანმა განაცხადა: „თუკი 60 წელი ტელევიზიის გარეშე ვიცხოვრეთ, ერთ ამდენს კიდევ გავძლებთო“. მაგრამ, ტექნიკური პროგრესის შეჩერება შეუძლებელია: 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიური თამაშებიდან უკვე სათანამგზავრო ტრანსლაციები მიმდინარეობდა, თავდაპირველად შავ-თეთრი გამოსახულებით, თუმცა „მეხიკო-1968“-ის სპორტული ასპარეზობები მაყურებელმა უკვე ფერში იხილა.

იმ წელს სოკ-ის ხელმძღვანელობამ ტელეტრანსლაციების გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლის ხუთჯერადი ზრდის შესახებ განაცხადა. კიდევ ოთხი წლის შემდეგ კი, იაპონიის საპოროში ზამთრის ოლიმპიური თამაშებიდან ტელეკომპანიებს გადაცემების სხვადასხვა პაკეტი ასარჩევად შესთავაზეს, რის შედეგადაც შემოსავალმა კიდევ სამჯერ მოიმატა.

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან სოკ-ის შემოსავალი, რომელსაც ის ტელეკორპორაციებთან დადებული ხელშეკრულებებით იღებს, გეომეტრიული პროგრესით იზრდება. მაგალითად, „მოსკოვი-1980“-ის თამაშების ტრანსლაციის შედეგად მიღებული თანხა სამჯერ მეტი იყო, ვიდრე მონრეალ-1976-დან განხორციელებული რეპორტაჟებიდან შემოსული სახსრები.

ბოლო წლებში კი სოკ-თან ზაფხულის თუ ზამთრის თამაშებიდან ტრანსლაციების უფლების მოსაპოვებლად ტელეკომპანიები დიდ ძალისხმევას ხარჯავენ, თუმცა გამარჯვებული, როგორც წესი, ამერიკული NBC ხდება ხოლმე. სოკ-ი ტელეტრანსლაციების უფლებას პაკეტებად ყიდის: თუ გინდა მძლეოსნობის და ცურვის ჩვენება, კეთილი ინებე და ასევე კერლინგისა და სკელეტონის შეჯიბრებებიც გააშუქე...

1992-დან 2010 წლამდე პერიოდში NBC ჩატარებული თერმეტიდან ცხრა ოლიმპიადიდან ტელეტრანსლაციების მოწყობის უფლების მფლობელი იყო, რაც კორპორაციას მთლიანად 5,2 მილიარდი დოლარი დაუჯდა. ამან, საბოლოო ანგარიშით, კომპანიას 375 მილიონი დოლარი შემოსავალი მოუტანა. არადა, ბარსელონის და ვანკუვერის თამაშები, სატელეტრანსლაციო თვალსაზრისით, წამგებიანი გამოდგა – შესაბამისად, 99 და 223 მილიონი დოლარით. ამის მიზეზი რეკლამის ორი უდიდესი დამკვეთის – „ჯენერალ მოტორსისა“ და „ბენკ ოფ ამერიკას“ დაკარგვა იყო.

სამაგიეროდ, რევანში სოჭში შედგა – იქ NBC-მ 1,1 მილიარდი დოლარი მოგება ნახა, საიდანაც 800 მილიონი რეკლამიდან მიღებული შემოსავალი იყო.

სამი ზამთრის და სამი ზაფხულის ოლიმპიადის თამაშების ტრანსლაციის უფლებაში, რომელთაგან ბოლო ტოკიო-2020-ია, NBC-მ 4,38 მილიარდი დოლარი გადაიხადა. მომდევნო, 2032 წლამდე გათვლილი კონტრაქტი კი უკვე 7,56 მილიარდ დოლარს შეადგენს. მისი პირობებით, 2015 წლიდან 2020 წლამდე პერიოდში ტელეკომპანია სოკ-ს ყოველწლიურად კიდევ 100-100 მილიონ დოლარს გადაუხდის „ოლიმპიური მოძრაობის მხარდაჭერისთვის“.

სატელევიზიო ტრანსლაციების რეგლამენტის მკაცრი მოთხოვნების შედეგად, შეჯიბრების წესები შეიცვალა სპორტის რამდენიმე სახეობაში, მათ შორის, ვთქვათ, ფრენბურთსა და მშვილდოსნობაში – პირველში გუნდს ქულები ახლა ბურთის ყოველ გათამაშებაზე ერიცხება, მეორეში კი სპორტსმენები სასროლად ხაზზე ერთდროულად გადიან, ეს კი გადაცემებს დინამიურობას მატებს.

რაც შეეხება ტოკიო-2020 ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ტრანსლაციებს, იაპონური ტელეკომპანია NHK-სა და სოკ-ის მიერ შექმნილი ოლიმპიური არხი OBS მათ გადმოცემას 8K რეჟიმში აპირებს, რაც ნამდვილი ტექნიკური რევოლუცია იქნება.

ნინო ალექსანდრია

EBRD ექვსი ქალაქისთვის ავტობუსების შესაძენად 17 მილიონ ევროს გამოყოფს

თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელების მიზნით, ახალი შეთანხმება გაფორმდა. ფინანსურ დოკუმენტს თბილისის მერი, ფინანსთა მინისტრი და ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის (EBRD) რეგიონული დირექტორი აწერენ ხელს.

ფინანსთა მინისტრ ივანე მაჭავარიანის განცხადებით, ახალი ავტობუსები სრულად იქნება ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის (შშმ) პირებზე. EBRD 17 მილიონ ევროს გამოყოფს, რომლითაც საქართველოს 6 ქალაქისთვის დაახლებით 175 ავტობუსს შეიძენენ.

„ჩვენთვის მთავარი პრიორიტეტი საზოგადოებრივი ტრანსპორტის განახლება და მოწესრიგებაა. ყვითელი ავტობუსების პარკი მთლიანად იქნება ჩანაცვლებული. პრობლემური უბნებისთვის, სადაც ლოდინის დრო დიდია, ავტობუსებს დამატებით შევიძენთ“, — განაცხადა თბილისის მერმა კახა კალაძემ. EBRD-მა საქართველოს 200-ზე მეტი პროექტისთვის 3,4 მილიარდი ევრო გამოუყო.

გამონაყრების მინიშნებები

სახეზე გამონაყარს, როგორც წესი, კოსმეტიკურ დეფექტად მიიჩნევენ. არადა, არსებობს მოსაზრება, რომ გამონაყარი — ესაა ორგანიზმში მიმდინარე პათოლოგიური ცვლილებების გარეგანი გამოვლენა, ამასთან, მათი გამოსვლის ადგილისდა მიხედვით, სავსებით შესაძლებელია იმის დადგენა, თუ რომელი ორგანო საჭიროებს შველას.

შუბლი: აქ ცხიმის სადენების დიდი ოდენობაა თავმოყრილი. თუკი ცხიმის ჯირკვლები გაძლიერებულ რეჟიმში მუშაობენ, ცხიმი სადენებს ბიდნის და მუწუკებიც ამის გამო ჩნდება.

გარდა ამისა, ითვლება, რომ **შუბლი — ესაა ნაწლავთა ზონის პროექცია**. თუკი გამონაყარი შუბლის ზედა ნაწილშია, შესაძლოა, პრობლემები მსხვილ ნაწლავშია, თუ ქვედაში — ყურადღების გამახვილება წვრილ ნაწლავებზეა საჭირო.

საფეთძლები და თმების ზონა ნაღვლის ბუშტის მუშაობას უკავშირდება. ხანგრძლივი გამონაყრის დროს საჭიროა მისი მუშაობის შემოწმება.

თვალების ზონა თირკმლებისა და მათი ზედა ჯირკვლების მუშაობას ასახავს. შეშუპებული თვალები, მათ ირგვლივ კანის ფერის შეცვლა, პატარ-პატარა გამონაყარი, შესაძლოა, მათი ცუდად მუშაობის ნიშანი იყოს.

ცხვირის ზონა უკავშირდება ელენთის მუშაობას. ფერის ცვლილება, ცხვირის ფრთებზე კანის აქერცვლა ამ ორგანოს მუშაობაში არსებულ შეფერხებებს მოწმობს.

ტუჩ-ცხვირის სამკუთხედი ესაა გულის ზონა, სადაც გალურჯება, მგრძნობელობის შესუსტება კარდიოლოგის კონსულტაციას საჭიროებს.

ლოყები, მათი შუა ნაწილი სასუნთქ გზებს უკავშირდება. გამონაყრის სიხშირე ფილტვებში მიმდინარე ანთებით პროცესებს, ანდა გაციების შედეგებს უკავშირდება. ლოყებზე სისხლძარღვთა ბადის გაჩენა ღვიძლის შემოწმების ნიშანია.

ნიკაპი ესაა თეძოების ზონის ანარეკლი. ამ ადგილებში ხშირი გამონაყრის დროს ქალბატონებს — გინეკოლოგთან, მამაკაცებს კი უროლოგთან ან ანდროლოგთან სრული გამოკვლევის გავლას ურჩევენ.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ გამონაყრის პროვოცირება შეუძლია:

— ჰორმონალურ დისბალანსს;

— ანთებით პროცესებს;

— კუჭ-ნაწლავთა სისტემის მუშაობაში აშლილობებს;

— კოსმეტიკურ საშუალებებზე ან სურსათზე ალერგიულ რეაქციას;

— სტრესებს, დეპრესიასა და იმუნიტეტის დარღვევას.

ასევე მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ ზრდასრული ადამიანის სახეზე კანის საფარის ცვლილებებს მუწუკების სახით, მუდამ გარკვეული მიზეზები აქვს. ზოგიერთი მათგანი შესაძლოა, სულაც არ იყოს საშიში, მაგრამ ხშირად ეს სერიოზული საფრთხის არსებობის ნიშანია.

აუცილებელია იმის ცოდნაც, რომ მუწუკებთან ბრძოლის მთავარი საშუალებაა ჰიგიენა. **გახსოვდეთ, რომ:**

— პირი დღეში ორჯერ უნდა დაიბანოთ — წყალი გრილი, ან ოთახის ტემპერატურისა უნდა იყოს;

— შეიძლება, უსპირტო გამწმენდი ლოსიონების ხმარება, კანი ზედმეტად რომ არ გამოშრეს. ის სახის კანს ზედმეტ ცხიმს აცლის და ამით ხელს უშლის მუწუკების გაჩენას;

— ნუ ეცდებით მუწუკების გამორწყვას, ეს ჭრილობაში ინფექციის შეჭრასა და ახალი გამონაყრის წარმოშობას უწყობს ხელს.

მოამზადა
ნინო ალექსანდრიამ

6000 ოჯახის გასაჭირი

„ცენტრ-პოინტის“ ერთი სახლის აშენება არ უნდა იწვევდეს სხვა 20 სახლის დამახინჯებას“

„ცენტრ-პოინტისგან“ დაზარალებული 6000-მდე ოჯახიდან ნაწილი უბინაოდაა დარჩენილი, ზოგი დაუმთავრებელ შენობაში ცხოვრობს. მათი საკუთრების სრულყოფაში მოყვანას მერიის მიერ გაკეთებული მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვით 40 000 ლარი სჭირდება. ეს თანხა საჭიროა იმისთვის, რომ დაზარალებულების ბინები აშენდეს, ელექტროსისტემა მოწესრიგდეს, გაკეთდეს ლიფტები, დასრულდეს ყველა ის აუცილებელი კომპონენტი, რაც საჭიროა იმისთვის, რომ ამ ოჯახებმა პირობები გაიუმჯობესონ და მათი 15-წლიანი პრობლემა აღმოიფხვრას.

მერია შეხვედრებს როგორც დაზარალებულებთან, ასევე სხვადასხვა დეველოპერულ და სამშენებლო კომპანიებთან განსაკუთრებით ბოლო პერიოდში აქტიურად მართავს. „კომერსანტმა“ დაზარალებულების პოზიცია მერიის მცდელობებზე არაერთხელ გაახმაურა — მათი ნაწილი მიიჩნევს, რომ დედაქალაქის მთავრობას წინასაარჩევნოდ ქულების დაწერა სურს და გაჭიანურებული მოლაპარაკებების შემდეგ ხელჩასაჭიდი შედეგი მათთვის ჯერჯერობით არ ჩანს.

ორი დღის წინათ კი მერიის ახალი იდეის შესახებ გახდა ცნობილი — ეს **„ცენტრ-პოინტის“** დაზარალებულების დასახმარებლად შექმნილი ფონდია, რომელშიც უშუალო მონაწილეობას დეველოპერული კომპანიები იღებენ, გარკვეული შეღავათების სანაცვლოდ. მიუხედავად იმისა, რომ ფონდი ჯერ მხოლოდ იდეად მოიაზრება, კომპანიების წარმომადგენლები მიესალმებიან მერიის მცდელობას, მოაგვაროს მრავალწლიანი დავა და დაზარალებულების ბინები დაამთავროს. თუმცა, ჩნდება კითხვები — **რას მოიცავს მერიის მხრიდან კომპანიებისთვის გაწეული შეღავათები თუ სერვისები, რის სანაცვლოდაც მათ თანხები უნდა შეიტანონ ამ ფონდში? რა შეღავათზე უნდა წავიდეს მერია დეველოპერულ კომპანიებთან, რათა ფონდისთვის გათვალიწინებული თანხა შეგროვდეს? ვინ გააკონტროლებს ამ შეღავათების გონივრულ გადანაწილებას?**

„კომერსანტმა“ მსხვილ დეველოპერული კომპანიების წარმომადგენლებს, რომლებიც მერიასთან შეხვედრას ესწრებოდნენ, სწორედ ეს კითხვები დაუსვა და დაინტერესდა მათი მოსაზრებით ფონდის შექმნის მიზანშეწონილობაზე. მათი უმეტესი ნაწილი მიესალმება თანხების გადახდას ბიუროკრატიული ბარიერების გადასალახად, კოეფიციენტის მისანიჭებლად და ა.შ. იმ შემთხვევაში, თუკი ეს თანხა რჩეულიშვილების ბიზნესით დაზარალებულ ხალხს პრობლემას მოუგვარებს. თუმცა, მათივე თქმით, კონტროლის მექანიზმი, გონივრული გამოყენება ამ სერვისების და პროცესის გამჭვირვალობა აუცილებელია, ამასთანავე, არ გამორიცხავენ პროცესის საწყის ეტაპზე შეცდომებსაც.

„შეხვედრაზე მერიამ ცენტრ-პოინტის პრობლემის მოგვარების გზა გაგვაცნო და დაინტერესდა ჩვენი პოზიციით, რაც მისასალმებელია. რაც შეეხება სერვისებს, დღეს თბილისში კოეფიციენტის მომატება ობიექტზე არის აკრძალული, მაგრამ მერია ამბობს, რომ, თუ თქვენ მზად ხართ გადაიხადოთ დამატებითი თანხა კოეფიციენტის მოსამატებლად, ეს შესაძლებელია. დღეს არ არსებობს კოეფიციენტის გადასახადი, არც მისი მოსაკრებელი, შესაბამისად, ამით ბიუჯეტს არ აკლდება არაფერი. ასევე სერვისი მოიცავს გარკვეული ბიუროკრატიული ბარიერების მოგვარებას მერიის მხრიდან. თუ პროცესი დროშია გაჭიანურებული, პრობლემატურია და ასე შემდეგ, მივდივართ მერიასთან და ვეუბნებით, რომ მზად ვართ, გადავიხადოთ გარკვეული თანხა, რაც შედის დაზარალებულების ფონდში. ვთქვათ, ობიექტზე უნდა გამეკეთებინა 200 პარკინგის ადგილი, მერიას ვეუბნები, რომ მხოლოდ 100 ადგილს გავაკეთებ და სამაგიეროდ თანხას გადავიხდი.

მერიას ურჩევნია, რომ 100 პარკინგით ნაკლები აშენდეს ან ერთი სართულით მეტი დაშენდეს იმისთვის, რომ ეს 6000-კაციანი პრობლემა გადაწყდეს. მერია გონივრულობის და ურბანული ზრდილობის ფარგლებში მზად არის, გარკვეულ დათმობებზე წავიდეს, თუ ეს დაეხმარება „ცენტრ-პოინტის“ დაზარალებულებს. მე რომ ვიყო ოპოზიციური წარმომადგენელი, ვიტყოდი, რომ ეს არის კორუფციული სქემა, მაგრამ როცა ვარ ობიექტური პოზიციის მატარებელი, ვფიქრობ, რომ ზოგადად იდეა კარგია — თუმცა საჭიროა კონტროლის მექანიზმი,“ — ამბობს კომპანია „არსის“ ხელმძღვანელი თორნიკე აბულაძე.

„მშენებელი გარკვეულ შეღავათს ყიდულობს ფულით, მაგრამ ეს ბევრად უფრო ნაკლები პრობლემაა, ვიდრე „ცენტრ-პოინტის“ საქმე. თუ აღმოჩნდა, რომ ვიღაცამ მაღალსართულიანი სახლები ააშენა და გადაიხადა 5000 ლარი, ცხადია, ეს კითხვებს ბადებს. ერთი სახლის აშენება 10 სხვა სახლის დამახინჯებას არ უნდა იწვევდეს. მაგრამ იმ ფონზე, რომ ქვეყანაში გადაწყვეტილების ვერმიღება დიდი პრობლემაა, მერია შეიძლება შეცდომებს უშვებს, მაგრამ გადაწყვეტილებებს იღებს. ბევრ რამეში არ ვეთანხმები მერიას და არ მგონია, რომ ჩემზე მეტად ვინმე აკრიტიკებდეს ამ უწყებას, მაგრამ მიმაჩნია რომ ეს სწორი იდეაა. გარკვეული ხარვეზები მოსალოდნელია საწყის ეტაპზე, მაგრამ უნდა გამოვასწოროთ. ერთი მხრივ, არ უნდა მოხდეს, რომ ეს კორუფციულ სქემად ჩავთვალოთ, მაგრამ უარიც არ უნდა ვთქვათ.“ — ამბობს აბულაძე.

„ცენტრ-პოინტის“ დაზარალებულების პრობლემის მასშტაბურობას ხედავს ირაკლი როსტომაშვილიც. მენაშენეთა ასოციაციის ხელმძღვანელი მერიის მიერ შემოთავაზებული თანხის აკუმულირების გზას მიზანშეწონილად მიიჩნევს.

„რაღაცნაირად უნდა გადაწყდეს ამ 6 000 ადამიანის ბედი. ამ ოჯახების ნახევარი ისეთ პირობებში ცხოვრობს, სადაც შეუძლებელია არსებობა — კარ-ფანჯარა არ აქვს უმეტესობას. მე ვარ მომხრე იმის, რომ რაღაც ნაბიჯი უნდა გადაიდგას. ჩვენს სექტორს გული შესტკივა ამ საკითხზე, თუ ჩვენს სექტორს შეუძლია, რომ მათ სახლებში გაკეთდეს ლიფტი, ფასადი, ელექტროენერგია და ასე შემდეგ, რა თქმა უნდა, მომხრე ვართ. კიდევ როგორ უნდა გადაწყდეს? არ შეიძლება, რომ რჩეულიშვილები მუდმივად იყვნენ ციხეში. შეცდომები დაუშვეს და ამდენ ხალხს იმედი გაუცრუეს, მაგრამ ჰუმანურ ქვეყანაში ვცხოვრობთ. მერიამ ნახა, რომ სერიოზული თავის ტკივილია „ცენტრ-პოინტი“ და შემოგვთავაზეს ეს გზა, ეს თანამშრომლობა გამოდის. ეროვნულმა ბანკმა კი მოგვიგონა რეგულაციები. კარგია, რომ ბატონყმური დამოკიდებულება არ არის მერიის მხრიდან“, — ამბობს როსტომაშვილი.

მარიამ მორგოშია

რუსთაველი კალიგრაფის ანბანი სტრასბურგში



„სტრასბურგში ტრამვაის ვაგონებზე დატანილი კიდურ-ყვავილოვანი კალიგრაფიით შესრულებული ქართული წარწერების ავტორს, 19 წლის სტუდენტს ნიკა ღუნაშვილს, რუსთავის მერიაში სამსახური შესთავაზეს, რაზეც ახალგაზრდა დათანხმდა“ — თქვა რუსთავის მერმა ირაკლი ტაბაღუამ 28 ნოემბერს ქვემო ქართლის მხარის ადმინისტრაციაში, სადაც ნიკა ღუნაშვილს გუბერნატორ შოთა რეხვიაშვილთან ერთად შეხვდა.

„გუშინ გავიგეთ, რომ კალიგრაფიის ავტორი ქვემო ქართლიდან, რუსთავიდან ყოფილა. ჩვენ გვაქვს მდიდარი ისტორია, საოცარი სილამაზის დამწერლობა და 19 წლის ახალგაზრდა ახერხებს საქართველოს ასეთ დონეზე პოპულარიზაციას. იმედი მაქვს, მისი შესანიშნავი საქმიანობა ჩვენს მხარეს უფრო პოპულარულს გახდის“, — ბრძანა გუბერნატორმა შოთა რეხვიაშვილმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა შეხვედრაზე მისულ ღუნაშვილის პედაგოგებს.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტში საქართველოს თავმჯდომარეობასთან დაკავშირებით სტრასბურგის ქუჩებში ქართული ანბანით გაფორმებული ტრამვაი იმოძრავებს. საქართველოს თავმჯდომარეობის ლოგოთი და ახალგაზრდა ქართველი კალიგრაფისტის ნიკოლოზ ღუნაშვილის მიერ დახატული ქართული ანბანის ასოებით მორთული ტრამვაის ინაუგურაცია სტრასბურგში „Droits de l'homme“-ის გაჩერებაზე გაიმართა.

ნიკა ღუნაშვილი ტექნიკური უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტია და სამშენებლო ფაკულტეტზე სწავლობს. კალიგრაფიას რუსთავში, კერძო საგანმანათლებლო-კულტურულ ცენტრ „მთაწმინდელში“ ეუფლებოდა. არის რამდენიმე კონკურსის გამარჯვებული.

„რადიო თავისუფლებასთან“ საუბრისას ნიკა ღუნაშვილმა თქვა, რომ მისთვის მოულოდნელი იყო საგარეო საქმეთა სამინისტროდან პროექტზე მუშაობის შემოთავაზება.

„პროექტზე ერთი თვე ვიმუშავე. სახლში ვხატავდი ფურცლებზე. 33-ვე ასოს ნახატი გადავაგზავნე, კორექტივები არ შეუტანიათ, არც შენიშვნა ჰქონიათ“, — თქვა **ნიკა ღუნაშვილმა. — კალიგრაფია მეხმარება იმის გადმოცემაში, რასაც ვგრძნობ და რაც, ჩემი აზრით, აქტუალურია“**.

ნიკა ღუნაშვილის თქმით, ნახატები შეასრულა აკრით და ფანქრით. ძირითადად გამოყენებულია წითელი, მწვანე და ლურჯი ფერები.

ნიკა ღუნაშვილი ქმნის კალიგრამებსაც. ეს სიტყვისა და გამოსახულების ერთობლიობაა, რომლის შესწავლაც ერთი წლის წინათ დაიწყო. მისი თქმით, სამი ქართული დამწერლობიდან მხედრული იმდენად მოხერხებულია, რომ **„საკმაოდ ბევრი და მრავალმხრივი გამოსახულებების შექმნა და ემოციის გადმოცემა შეიძლება“**.

მისივე თქმით, სახელოსნოს გაკეთებაზე ფიქრობს, მაგრამ ჯერ ამის შესაძლებლობა არა აქვს.

დავით მჭედლიძე

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001
ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ უეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ვულოცავთ

ღვაწლმოსილ ინჟინერს, უკეთილშობილეს ადამიანს

გიორგი გაგლოევს

ვულოცავთ 80 წლის იუბილეს, ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლესა და ბედნიერებას თავის დიდ ოჯახთან ერთად.

მეგობრები

სიყვარულიც ამას ჰქვია...

იტალიელმა დეპუტატმა ფლავიო დი მურომ შეყვარებულს ხელი პარლამენტის სხდომაზე სთხოვა. დეპუტატები მიწისძვრის შედეგებთან გამკლავების ზომებს განიხილავდნენ, რა დროსაც დეპუტატმა ტრიბუნასთან მისვლა მოითხოვა.

„ძალიან ხშირად ჩვენ უგულებელვყოფთ ჭეშმარიტ ფასეულობებს, ადამიანებს, რომლებიც გვიყვარს და რომლებსაც ვუყვარვართ. ვწუხვარ, რომ პალატის მუშაობა უნდა შევაჩერო, მაგრამ მინდა, გამიგოთ, რომ ჩემთვის მნიშვნელოვანი დღეა. ელიზა, გამომყვები ცოლად?“ — ამ სიტყვებით სთხოვა დეპუტატმა შეყვარებულს ცოლობა. ელიზამ თანხმობა განაცხადა, რასაც პარლამენტში აპლოდისმენტები მოჰყვა.

პარლამენტის სპიკერმა დეპუტატს შენიშვნა მისცა და აღნიშნა, რომ საპარლამენტო ტრიბუნის ამ მიზნით გამოყენება უადგილო იყო.

„ევროვიზია 2020“-ის ოფიციალური ლოგო წარადგინეს

ევროპის მაუწყებელთა კავშირმა წარადგინა ევროვიზიის 65-ე სიმღერის კონკურსის ოფიციალური ლოგო. ევროვიზია 2020 ნიდერლანდების სამეფოში, როტერდამში 12-დან 16 მაისამდე გაიმართება.

ევროვიზიის სიმღერის კონკურსი (ESC) ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი ევროპული სატელევიზიო კონკურსია, რომელიც პირდაპირ ეთერში ევროვიზიის სატელიტური ქსელის მეშვეობით გადაიცემა. გრანდიოზულ სანახაობას ყოველწლიურად, მსოფლიოს მასშტაბით, 200 მლნ-ზე მეტი მაყურებელი ადევნებს თვალს.

„ტკბილი დანიელები“



„მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არ მიირთმევენ იმდენ ტკბილეულს, როგორც დანიაში“, — **წერს გერმანული გამოცემა** Suddeutsche Zeitung-ი. **საშუალო სტატისტიკური დანიელი წელიწადში 6.6 კილოგრამ ტკბილეულს მოიხმარს, გერმანელის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 5.3 კილოგრამია. ეს ერთ-ერთი მიზეზია, რატომაც დანიაში ტკბილეულზე გადასახადი დააწესეს, რის გამოც პროდუქტი თითქმის ორჯერ გაძვირდა, ვიდრე მეზობელ შვედეთში ღირს. შედეგად ქვეყანაში ტკბილეულის კონტრაბანდა დაიწყო.**

ცოტა ხნის წინათ შვედმა და დანიელმა ჟურნალისტებმა გამოაქვეყნეს გამოძიების სერიები, რომელშიც საუბარია კოპენჰაგენში კრიმინალური ქსელების მეშვეობით ათასობით ტონა ტკბილეულის კონტრაბანდით ვაჭრობის შესახებ, რაშიც ფიქტიური კომპანიები და პირები არიან ჩართულები.

ტაბლოიდური გამოცემა BT-ის ინფორმაციით, კონტრაბანდაში დანიის ფეხბურთის ეროვნული ნაკრების ყოფილი მოთამაშეც კი არის ჩართული. გამოძიების თანახმად, ტკბილეულს ყიდიან სპეციალურ მაღაზიებში, სადაც, მაგალითად, 100 გრამი მარმელადი 9 კრონი ღირს, მაშინ, როცა საბაზრო ღირებულებით ერთი კილოგრამი მარმელადი დაახლოებით 75 კრონი ღირს. დამნაშავეები ნამდვილ და ბრენდირებულ ნაწარმს აყალბებენ. ხელისუფლება შიშობს, რომ ტკბილეულის ბიზნესში ორგანიზებული დანაშაულის ნიშნები გაჩნდა, რადგან დიდი მოგება „ბანდებსა და სხვა კრიმინალურ დაჯგუფებებს იზიდავს“.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

ყურადღება!
„საქართველოს რესპუბლიკის“ გამოსაწერად მიმართეთ:
„ელვა.ჯი“
577 991651
577 308847
შპს „მაცნე“
599 982777
„პლანეტა ფორტე“
579 799908

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9744; ევრო - 3.2757;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.8465;
100 რუბლი - 4.6400; თურქული ლირა - 0.5161;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7500;
1000 სომხური დრამი - 6.2422

ამინდი 30 ნოემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+1,	დღე	+16
მთიანი რაიონები -	ღამე	-2,	დღე	+13
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+8,	დღე	+17
მთიანი რაიონები -	ღამე	+1,	დღე	+14
თბილისი:	ღამე	+3,	დღე	+14

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge